



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინი ბუქე-
უტი სიფყავა, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყელა უჯარბისბაზუ უსამაგოლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 31 მარტი-1 აპრილი. 2021 წ. №67-68 (9186-9187) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge უსი 1 ლარი



საქართველოს დაგეგმვის კვლევის რეკონსტრუქციის 70 წელი - ხალხთა საყრდენი

მოსკოვის ახალი საზოგადოება და მუქარა თბილისს:

„ექვსთა ფორმატი“ ჩართვა - დავნილების დაბრუნების სანახევროდ“

პრემიის ცნობილი პრობ-
განდისტი მაქსიმ შვედენო თბი-
ლისის მიმართ ახალ წინადადე-
ბას აქვს დასაყრდენი და საქართველოს
აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუ-
პირებულ რეგიონებში დევნილე-
ბის დაბრუნების უზრუნველყო-
ფის სანაცვლოდ ე.წ. „ექვსთა
ფორმატი“ (რუსეთი, თურქეთი,
ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი,
საქართველო) ჩაბმას სთავა-
ზობს.

ამასთან, იგი არ მალავს,
რომ მოსკოვს ეს „რეგიონიდან
დასაველეთის განსაღვინად და
როგორც საქართველოში, ისე
მთლიანად სამხრეთ კავკასი-
აში თავისი გავლენის დასამ-
კვიდრებლად“ სჭირდება.

როგორც შვედენო თავის
ვიდეობლოგში აცხადებს, „სა-
ქართველოში პოლიტიკური
არასტაბილურობა იზრდება -
ქვეყანაში ჩადიან ევროკავში-
რის ემისრები, გამოჩენილი ამე-
რიკელები, საქართველოს მთავ-

რობა, რომლის უკანაც მილიარ-
დერი ბიზნის ივანიშვილი დგას,
ირყვება, მიხეილ სააკაშვილის
წარმომადგენლებს აკავებენ,
რუსეთში კი ამ ფონზე თითქოს
არავის ესმის, რა ესაქმება მოს-
კოვს საქართველოში მიმდინა-
რე მოვლენებთან - აქაოდა, სა-
ქართველოში სომ უკვე დიდი ხა-
ნია, განსაზღვრა და გამოაცხა-
და თავისი გზა ნატოსა და ევ-
როკავშირისკენ, რუსეთის მი-
მართ კი გაუგებარი დამოკიდე-
ბულება აქვს“.

„მაგრამ ჩვენც - რუსეთსაც
სომ ასეთივე გაუგებარი დამო-
კიდებულება გვაქვს: რუსულ სა-
ზოგადოებას არ გაგვანია ჩა-
მოყალიბებული ალქმა იმისა,
თუ რას წარმოადგენს ჩვენთვის
საქართველო, ზოგადად კავკა-
სია და შესაბამისად, არც ჩამო-
ყალიბებული კავკასიური პო-
ლიტიკა გაგვანია.“

06. 4 83.

ირაკლი ღარიბაშვილი:

სახელმწიფო, ბიზნესი, მოქალაქე

2

- ეს სამი სუბიექტი უნდა
გაპარტიანდეთ, რომ ქვეყანა
გამოვიყვანოთ კრიზისიდან

თურქეთის ელჩი:

ამ რეგიონში ჩვენ ერთი ბედი გვაქვს: რაც მოვიპოვებ ჩვენ, მოვიპოვებ თქვენ და პირიქით...

8

საქართველო ჩემი ბავშვობის ტკბილ-მწარე მოგონებაა...

**© მოულოდნელი
შეხვედრა**

**პრაზიკი ვლადიმერ პუტინის წერილი
პრაზიკი ვლადიმერ პუტინის წერილი**

ქალბატონო სალომე, მერწმუნეთ, გულწრფელად
გწერთ.

როგორც ჩანს, ადამიანის ცხოვრებაში დეგრადაცია ისეთი
წუთი, როცა უნებურად წარსულისკენ იხედები და ჩა-
დენილს ავ-კარგის სასწორზე წონი. ახლა, უკვე ხან-
დაზმულ ასაკს მიახლოებულს, სწორედ ასე დამემართა
მეც. თვალყურს ვადევნებ, ვიცი, რასაც ლაპარაკობენ
ჩემზე საქართველოში, რომელთანაც ჩემი ბავშვობის
სულ რამდენიმე წელიწადი მაკავშირებს და რომელ-
საც, ბევრი ქართველის გაგებით, მიწა-წყლის ერთი
ნაწილი ჩამოვაჭერი ოსების სასარგებლოდ, რაც მთლად
ჩემი მიზეზით არ მომხდარა.

იმხანად პეკინში ვიყავი, მსოფლიო ოლიმპიურ თა-
მაშებს ვესწრებოდი, პრემიულზე დიმიტრი მედევე-
ლევა დამირეკა და მაცნობა, რომ კონსტიტუციური
წესრიგის დამყარების საბაბით სააკაშვილი სამხრეთ
ოსეთში შეჭრას აპირებდა. მე მაშინვე დავურეკე სა-
აკაშვილს და გავაფრთხილე, რომ ოსი ხალხის წინა-
აღმდეგ იარაღისთვის არ მიემართა, რადგან ოსეთის
იმჟამინდელი ხელმძღვანელობის თხოვნის თანახმად,
იძულებული ვავხდებოდი, რომ აშკარად უსამართ-
ლო თავდასხმის ქამს ოსებს დაეხმარებოდი, რაც ჩვენს
ორ ქვეყანას შორის უკვე ომს ნიშნავდა.

მართალი გითხრათ, ჩემთვის ძალიან მძიმე იყო

ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სააკაშვილის ნამ-
დვილად უგუნურმა და გაუაზრებელმა ნაბიჯმა სხვა გზა
არ დავგვიტოვა. დიდად სამწუხაროა, რომ დიღუპა ბევრი
როგორც ქართველი, ისე რუსი და ოსი ახალგაზრდა,
რომელთა ახლობლებიც დღემდე სამართლიანად გვით-
ვლიან წყევლა-კრულვას.

საქართველოში ბევრს ჰგონია, რომ მე ერთგვარად
შური ვიძიე ჩემი ბავშვობის იმ მძიმე წლების გამო,
თქვენს ქვეყანასთან რომ მაკავშირებს. ეს სულ მთლად
სწორი არ არის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მე სრუ-
ლიად შემთხვევით აღმოვჩნდი საქართველოში, კერძოდ,
კასპის რაიონის სოფელ მეტეხში დედაჩემთან ერთად,
რომელიც გაშენიდან ცოლად გამოჰყვა ვინმე მეტეხელს,
ფრიალ უხასიათო ადამიანს. მან ძალიან ცუდი მამინაც-
ვლობა გამიწია. თუმცა თვითონ სოფელი და იქაური
ხალხი ნამდვილად კეთილ მოგონებად შემომჩნა. ასე
რომ, რაიმე შურისძიებაზე ლაპარაკი სრულიად მედ-
მეცია. პირიქით, ბოლო ხანს ხშირად ვფიქრობ, სანამ
მე ცოცხალი ვარ და პრემიულზე ვარ, იქნებ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა მოვიშველიოთ და მურგი
შევაქციოთ მგრობას, ერთმანეთისკენ მიმოსვლის მკვიდრი
ხილები ვაშენოთ და არა ერთმანეთისგან გამყოფი ყრუ
კედლები, რაც კიდევ უფრო დაგვაშორებს ჩვენი ხალხების-
თვის დროულად გადასაჭრელ სასიცოცხლო პრობლე-
მის მოგვარებას. ჩვენს ამჟამინდელ მოსაგვარებელს კი
მომავალ თაობებს ნუ დაეგოვებთ მძიმე მემკვიდრე-
ობად. როცა ოსეთზე ვლაპარაკობ, ცხადია, აფხაზეთ-
საც ვგულისხმობ. იქნებ ქართულ ფედერაციაზე გვეფიქრა,

რაც საქართველოს გამთლიანების საფუძველი გახდება.
ფიქრობ, არც აფხაზეთსა და ოსებს ექნებათ ფედერაციის
საწინააღმდეგო აზრი.

ამისთვის კი უწინარესად საჭიროა დიპლომატიური
ურთიერთობის აღდგენა. მოდით, ნუღარ გადავდებთ ამ
საქმეს. რაც შეიძლება, მალე მოვახერხოთ შეკრება ჩვენი
ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთის
და ოსეთის ხელმძღვანელებმა და სხვათა ჩაურევლად
მოვილაპარაკოთ... იმედია, ეს შეკრება არ დაემსგავსება
ქვეყნის მრავალწლიან გაჭიანურებულ ფუჭ შეხვედ-
რებს, რომელთაგანაც, როგორც ჩანს, სასურველ შე-
დეგს არ უნდა ველოდოთ. ნუ დაგვაფიქვდება, რომ სა-
უკუნეთა მანძილზე ყოველთვის ვახერხებდით მეგ-ნა-
კლებად კეთილმეტობლურ ურთიერთდამოკიდებულებას.

თანახმა ვარ, თუ ბევრად უფრო კონსტრუქციულ
წინადადებას შემოგვთავაზებთ.

გამომხატურების იმედით
ვლადიმერ პუტინი,
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი
მოსკოვი, კრემლი, 2021 წლის 31 მარტი

ირაკლი ღარიბაშვილი: სახელმწიფო, ბიზნესი, მოქალაქე - ეს სამი სუბიექტი უნდა გააერთიანდეთ, რომ ქვეყანა გამოვიყვანოთ კრიზისიდან



ჩემი ხედვაა ის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ბარიერი ჰქონდეს ბიზნესს, მინიმალური ბიუროკრატია, როგორც ცენტრალური მთავრობის, ისე რეგიონების დონეზე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პრექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ წარდგენაზე განაცხადა.

კრიზისიდან, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა, - განაცხადა ღარიბაშვილმა. ამასთან პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში პრობლემები 90-იანი წლებიდან დაგროვდა და ეს არაა გამონეგული მოკლეურობითა და არასწორი გადაწყვეტილებებით. „ესაა პრობლემები, რომლებიც მემკვიდრეობით გვერგო და ამას სჭირდება გადაწყვეტა. მინდა, დაგიდასტუროთ სრული მზობა თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერას კიდევ ერთხელ გიცხადებთ“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

აფხაზეთისა და სხინვალის რეგიონში მსხროპეები შეიქმნა საქართველოში აიცრებიან

კოვიდსაინფორმაციო იმუნოზაციის პროგრამაში ჩაერთვებიან აფხაზეთისა და სხინვალის რეგიონში მცხოვრები სამედიცინო სფეროს და შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ვაქცინაციის ჩატარებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე შეძლებენ, - აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. პროცესთან დაკავშირებული პროცედურები და სქემა, სხვა შესაბამისი უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე განსაზღვრა.

2006 წელს ე.წ. კორტაშის სასოფლო-სამეურნეო ოჯახის ადმინისტრაციული და სასოფლო-სამეურნეო ოჯახისთვის 50 000 ლარამდე კომპენსაციის გადასდა დაეკისრა

ალექსანდრე სუბულოვის ოჯახის სარჩელი სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სახელმწიფოს გარდაცვლილის ოჯახისთვის 50 000 ლარამდე კომპენსაციის გადასდა დაეკისრა. მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე ალექსანდრე სუბულოვის ოჯახის სარჩელი მოსამართლე ნათია ტოგონიძემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. შესაბამისი უწყებებს დაევადა როგორც ერთჯერადი კომპენსაციის გადასდა 49 500 ლარის ოდენობით, ასევე სუბულოვის შვილებისთვის, როგორც მარჩენალდაკარგულთათვის, სრულწლოვან ასაკამდე ყოველთვიური ხარისის გადასდა, თითო შვილზე 159 ლარის ოდენობით. ამ გადაწყვეტილებით, მოკლულის ოჯახის ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილდა. ადვოკატი კომპენსაციის სახით 100 000 ლარს



რის გადასდას და სრულწლოვან ასაკამდე შვილებისთვის ყოველთვიური თანხის გადასდას ითხოვდა. მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე ადმინისტრაციული დავა ალექსანდრე სუბულოვის ოჯახმა მუსმედვე დაიწყო, რაც 2006 წელს მუარაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე სუბულოვის მკვლელობის საქმეზე სასამართლოს პირველმა და მეორე ინსტანციებმა ყოფილი სამართალდამცველები დამნაშავედ ცნეს.

ინოვაციური იდეების მხარდაჭერა საქართველოში

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების, განათლების სისტემისა და ბიზნესის შორის კავშირების გაზრდის, STEM განათლების, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა. მხარეებს შორის შეთანხმება ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტარტაპების, სტარტაპებისა და დასაქმების პროგრამების ერთობლივად განხორციელებას, KIU ინოვაციების ეკოსისტემის სტრატეგიის დანერგვის მიზნით თანამშრომლობას.

დღესვე GITA-ს თავმჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ უნივერსიტეტის სტუდენტებს პრეზენტაცია წარუდგინა თემაზე „ინოვაციური იდეების მხარდაჭერა საქართველოში“. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2021-2022 აკადემიური სასწავლო წლისთვის სტუდენტების ასალი ნაკადის მისაღებად ემზადება. გაზაფხულზე დაგეგმილია ღია კარის დღეები.



მოსკოვის ახალი სატყუარა და მუქარა თბილისს:

„ექვსთა ფორმატში“ ჩართვა - ღვიწილების დაბრუნების სანაცვლოდ“

არადა, დიდი კავკასიის რაიონში ამჟამად საბედისწერო მოვლენები ვითარდება, რომლებიც ძალიან ბევრი რამის განმსაზღვრელი იქნება არა მარტო თავად რეგიონის ქვეყნებისთვის და ჩვენთვის - რუსეთისთვის, არამედ შესაძლოა, მსოფლიოსთვისაც კი, - აღნიშნავს შეგინეკო და ამ კონტექსტში ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, გასული წლის 11 დეკემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევის (რეალურად კი - მოსკოვის) მიერ ინიცირებულ პროექტს - „ექვსთა პლატფორმას“ ახსენებს: „ბოლო 15 წელია, ვსაუბრობ იმაზე, რომ ნებისმიერი პროექტი, რომელიც დასავლეთის ჩართულობის გარეშე განხორციელდება, მაშინვე მოუტანს კავკასიას მშვიდობას, მაშინვე გადაჭრის ყველა კონფლიქტს, მათ შორის - საქართველოს ირგვლივ; ხალხები შეძლებენ ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საზღვრები ფრონტის ხაზებიდან ჩვეულებრივ ხაზებად გადაიქცევა, რომელთაც სხვადასხვა საქონელი, ფული, იდეები, ადამიანები გადაკვეთენ. სწორედ ასეთი პროექტია „ექვსთა პლატფორმა“: საუბარია, ფაქტობრივად, მშვიდობიანი კავკასიის პლატფორმაზე - ქვეყნებს შორის მშვიდობიან შეთანხმებაზე, ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობაზე, სხვა-

დასხვა ურთიერთსასარგებლო ერთობლივ პროექტებზე. ამ ინიციატივას მყისიერად დაუჭირა მხარი თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა, რომელმაც იქვე ისიც აღნიშნა, რომ პუტინთან სატელეფონო საუბრისას მისგანაც მხარდაჭერა მიიღო. პლატფორმაში ჩართვის სურვილი დაადასტურა ირანმაც და სომხეთმაც. რჩება მხოლოდ საქართველო, მაგრამ მისი არმონაწილეობა სერიოზული პრობლემაა: როგორც არ უნდა დაქაბო ახლა ქვეყანაში ვითარება, როგორც არ უნდა ახდენდნენ ერთმანეთის დისკრედიტირებას მთავრობა და ოპოზიცია, ყველა ქართველისთვის - მათთვისაც კი, ვინც რუსეთის მიმართ ლოიალურადაა განწყობილი, მთავარ საკითხად რჩება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ყველაზე პრორუსულად განწყობილი ქართველებიც კი არასოდეს შეეგუებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არსებობას იმ სახით, რომლითაც ისინი დღეს არსებობენ, იმას, რომ იქიდან განდევნილია ქართული მოსახლეობა, რომ იქ რუსული ჯარები დგანან და სანამ ეს საკითხი გადაუჭრელია, საქართველო, რომც ჰქონდეს სურვილი, მიუერთდეს „ექვსთა პლატფორმას“, რაც მისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ამას ვერ გააკეთებს“, - ამბობს შეგინეკო, იქვე სვამს კითხვას, როგორ შეიძლება, გადაიჭრას ეს წინააღმდეგობა და მსმენელს გამოსავალს თავადვე სთავაზობს: „2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთში უკვე გამჯდარია მოსაზრება, რომ აი, სააკაშვილმა თავდასხმა განახორციელა (ცხინვალის რეგიონზე - რედ.), რუსეთმა კი დაიცვა (ცხინვალა - რედ.) და ეს ერთი

მხრივ, მართლაც ასეა - სააკაშვილმა მართლაც განახორციელა თავდასხმა, ყოველ შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროები დაიღუპნენ. მაგრამ ისმის კითხვა: ვინ იყო იმ დროს სააკაშვილის პარტნიორი მოსკოვში? მთელი ეს 2008 წლის ისტორია რეალურად, ხელსაყრელი იყო მოსკოვში მყოფი გარკვეული ძალებისთვის, რომლებიც გლობალიზმის აგენტებს წარმოადგენენ. სწორედ მათი მოქმედების შედეგად იქცა მართლმადიდებელი საქართველო მართლმადიდებელი რუსეთის მტრად და სადღეისოდ გარყვნილია რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის შესაძლებლობიდან: ამ დიალოგს შეიძლება, მხოლოდ კონსულტატიური ხასიათი ჰქონდეს, რადგან ვერც ერთი ქართული პოლიტიკური ძალა, რომც უნდოდეს, ვერ შეძლებს მოსკოვთან საუბარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის სრულად გადაჭრის თუ არა, სულ მცირე, ამ ტერიტორიებზე ქართული მოსახლეობის დაბრუნების გარეშე. ესე იგი, რა უნდა ვქნათ? საქართველო ქაოსში უნდა გადავუვლოთ? თუ უმჯობესია, დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება, გადაწყვიტოს ეს საკითხი? - შესაძლოა, კონფედერაციით, მოლაპარაკებების ორგანიზებით, დევნილების დაბრუნებით...“

- რედ.) დააკავს, რომელიც ღიად დაადასტურა ნაშაულებს ყარაბაღელი სომხების აფხაზეთში ჩასახლებისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე სომხური ავტონომიის ჩამოყალიბების ლობიერებაში, იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვი ყურადღებით ადევნებს თვალს იქ მიმდინარე პროცესებს და რომ კრემლს მშვენივრად ესმის, რომ საქართველოს გარეშე „ექვსთა პლატფორმა“ ვერასოდეს შედგება, მით უფრო - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელი მდგომარეობით.“

ამავდროულად ცნობილი პროპაგანდისტი თბილისსაც ემუქრება: „ახლა რომ რაიმე ომი წამოვიწყოთ (რომელიც არავის არაფერში სჭირდება), ეს მაშინვე საბაბს მისცემთ აშშ-სა და ევროკავშირს, ვითარებაში ჩაერიონ, თავისი ჯარები შეიყვანონ და იუგოსლავიური სცენარით კვლავ აქციონ კავკასია, სადაც გაჩნდა მშვიდობის შესაძლებლობა, ომის ზონად.“

„ამდენად, მე ვფიქრობ, ეს დიპლომატიისა და პოლიტიკოსების საქმეა, მოიფიქრონ, როგორ შეიძლება, კონვერტირდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი საქართველოსთან პარტნიორობაში, რათა თბილისმა შეწყვიტოს ნატოს სატელიტობა კავკასიაში იმ ფონზე, რომ დასავლეთი კბილებითაა ჩაფრენილი საქართველოს და ბოლომდე შეეცდება მის შეკავებას თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან პარტნიორობისგან ამ დიდი რეგიონული პროექტის ფარგლებში: მათ ხომ არ სჭირდებათ რეგიონში მშვიდობა, მათ სჭირდებათ კავკასიაში მუდმივი მტკიცეული წერტილის არსებობა; არ გამოუვიდათ ყარაბაღში? გადაიჭრა ყარაბაღის საკითხი? - ესე იგი, საქართველო უნდა იყოს ასეთი მუდმივი მტკიცეული წერტილი. მე დიდი შფოთვის ვადევნებ თვალს საქართველოში არსებულ დაძაბულობას და ძალიან არ მინდა, განმეორდეს 1990-იანი წლების მოვლენები, რადგან ეს ხელს მხოლოდ ხსენებული რეგიონული კონსორციუმის ჩამოყალიბების მონაწილეობისთვის მისცემს. მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კავკასიის ირგვლივ არსებული ყოფილი ძველი და შედარებით ახალი იმპერიების თანამშრომლობის შედეგად რეგიონის მშვიდობის ფაზაში გადასვლა - ეს არაჩვეულებრივი პროექტი იქნებოდა“, - დასძენს შეგინეკო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მასშტაბური უზენაესი საბჭოს ყოველი წევრისთვის ცხოვრების უზენაესი დღეა. ეს ისტორიული აქტი, სხვა მრავალ ისტორიულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოებასთან ერთად, დაემყარა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, რომელშიც საქართველოს მოსახლეობამ მკაფიოდ და ცალსახად თქვა „გვინდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

დღეს, 30 წლისთავე, ახალ ისტორიულ ვითარებაში, ამ რეფერენდუმის მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათლად და მასშტაბურად ჩანს.

სახელმძღვანელო:

— რუსეთის მონარქიული იმპერია იურიდიულად უფრო ძნელი დასაშლელი იყო, ვიდრე საბჭოთა იმპერია (სსრკ). რუსული მონარქიული იმპერია აღიარებული იყო მსოფლიოს მიერ. იმპერიის ახალი ფორმა — სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირი, ანუ სსრკ იურიდიული თვალსაზრისით იყო ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობის აღიარება. ეს აღიარება ამ რესპუბლიკებს საჩუქრად არ მიუღიათ. რუსულ სოციალ-დემოკრატიაში მცირე ერების მიმართ გასაბატონებელი პოლიტიკის მრავალი კონცეფცია არსებობდა, ერთი-მეორეზე შოვინისტური. რატომ გაიმარჯვა ყველაზე ნაკლებ შოვინისტურმა ამით შორის? პასუხია: იმიტომ რომ არსებობდა სხვადასხვა მიზეზები და ერთა ლიგის მიერ დე ფაქტოდ და ანტატივის უმაღლესი საბჭოს მიერ დე იურედ ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საკუთარი სრულყოფილი კონსტიტუციით, რომელიც სხვებს არ გააჩნდათ. ამიტომ რუსეთმა გაბედა მისი დაპყრობა და „გასაბჭოება“, მაგრამ ვერ გაბედა მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გაუქმება.

თუმცა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა სამხედრო წარმატებების კვალდაკვალ მიეღწია კიდევ ერთი მიზნისთვის: საქართველოს დამფუძნებელი კრებასა და მთავრობას ხელი უნდა მოეწერა კაპიტულაციის აქტზე და მოეხსნა უფლებამოსილებანი. თუ მოვლენები ამგვარი სცენარიით განვითარდებოდა, მაშინ საქართველოს ნათელი რევოლუციური კომიტეტი არალეგიტიმურ უკანონო ხელისუფლების ორგანოდან გადაიქცეოდა ხელისუფლების ისეთ ორგანოდ, რომელსაც კანონიერი ხელისუფლების არარსებობის პირობებში ექნებოდა უფლებამოსილება, ხელში აეღო სახელმწიფო ფუნქციები და განესაზღვრა საქართველოს მომავალი წყობა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ნოე ჟორდანიას საბჭოთა რუსეთის მხრიდან ორგანის შემოთავაზების მიუხედავად, არ დათანხმდა არც კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერას და არც დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მხრიდან უფლებამოსილების მოხსნას. ეს იყო სწორი და წინდახედული გადაწყვეტილება. ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც დამფუძნებელი კრება და მთავრობა რჩებოდა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებად. მოვლენათა ასეთი განვითარება იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართველ ერს უტოვებდა იურიდიულ უფლებას, ებრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის, თუმცა იყო ერთი ძალიან საშიში ტენდენცია — საბჭოთა რუსეთის სამი ნათელი არმია (მეათე, მეთერთმეტე და მერვე არმიები) აგრძელებდა საბრძოლო მოქმედებებს. ამიტომ იყო, რომ ემიგრაციაში მიმავალმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დატოვა ჯგუფი საბჭოთა რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის შესაძლო მოლაპარაკებათა შემთხვევისათვის გრივად ლორთქიფანის (ხელმძღვანელი), პარმენ ჭიჭინაძისა და შალვა მალაქვილიძის შემადგენლობით. შანტაყისა და მუქარის მიუხედავად,



გრივად ლორთქიფანის მიერ პირნათლად შეასრულა თავისი მისია, ხელი არ მოანერა კაპიტულაციის აქტს და შესაბამისად ხელშეკრულებაში, რომელიც 1921 წლის 18 მარტს გაფორმდა ქუთაისში, აღნიშნული იყო მხოლოდ ის, რომ წყდებოდა სამხედრო საბრძოლო მოქმედებები საქართველოსა და რუსეთს შორის.

ამრიგად, 1921 წლის 18 მარტის ქუთაისის ხელშეკრულებით საქართველო თავიდან აიცილა კაპიტულაციის აქტი დამპყრობლის წინაშე, რითაც შთამომავლობას დაუტოვა იურიდიული უფლება, ებრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

— იმ დროს, როცა სსრკ იქმნებოდა, ნათელ რუსეთს დაპყრობილი ჰყავდა სხვა სახელმწიფოებიც, მათ შორის აქვე, სამხრეთ კავკასიაში სომხეთი და აზერბაიჯანი. მაშ, რატომ ვამბობთ, რომ შედარებით ნაკლებ შოვინისტური კურსის არჩევანში რუსეთმა ანგარიში გაუწია მაინცდამაინც საქართველოს და არა იმ ორს? პასუხი ასეთია: იმიტომ რომ საქართველო იყო ტრადიციული მონარქიული სახელმწიფო, რომელმაც ეს სახელმწიფოებრივი ფორმა შეინარჩუნა რუსეთის მიერ ანექსიის დღიდან დღემდე. რუსეთმა „ერთმორწმუნე“ საქართველო „ჩაიბარა“, როგორც ფეხზე მდგომი ქვეყანა. ამისგან განსხვავებით, სომ-

ხეთ რუსეთის მიერ ანექსიის დღისთვის უკვე 650 წლის დაკარგული ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრიობა, „აზერბაიჯანი“ კი, როგორც „სახელმწიფო“, ისტორიამ არ იცოდა რუსეთის თებერვლის (1917 წ.) რევოლუციამდე. მანამდე „აზერბაიჯანი“ არსებობდა მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ტერმინი და არა პოლიტიკური და უფლებრივი.

— სსრკ-ში ყოფნის 70 წლის განმავლობაში საქართველო მსოფლიო პოლიტიკაში ფიგურირებდა როგორც „ხალხთა საპრობილისა“ და „ბოროტების იმპერიის“ ერთ-ერთი „რუსიფიცირებული პროვინცია“. შეურაცხმყოფელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დამამცირებელი ტიტული წმინდა ფიგურირებდა და საკულტო მედიაში. ე.წ. თავისუფალ მსოფლიოს გადასანყვეტი ჰქონდა, რომელი მიზნისკენ წარემართა თავისი პოლიტიკა აგრესიული და დიქტატორული სსრკ-ს მიმართ — მისი დაშლისკენ ეროვნულ სახელმწიფოებად და ამ უკანასკნელთა დემოკრატიზაციისკენ, თუ მხოლოდ იმპერიის დემოკრატიზაციისკენ, როგორც ერთი მთელისა. დასავლური პოლიტიკის არჩევანი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას აირჩევდნენ თვით სსრკ-ს შემადგენელ რესპუბლიკების ერები. ამ რესპუბლიკებს შორის ხუთმა გადაჭრით და ორ-

მა — ნაკლები ენერგიით გამოხატეს თავისი ნება, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნა არ უნდათ. ეს ხუთი იყვნენ ბალტიისპირელები, საქართველო და უკრაინა; ის ორნი — სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ შვიდმა და მათმა ხალხებმა მსოფლიოს თვალნათლივ დაანახეს, რომ სსრკ არ იყო ქვეყანა და მისი მოსახლეობა არ იყო ხალხი, არამედ საბჭოთა კავშირი იყო ხალხთა საპრობილე და მისი მოსახლეობა რუსების გამოკლებით იყვნენ პატიმრები. სსრკ-ს ბედი სწორედ ამან განსაზღვრა: იგი დაშალა, როგორც საპრობილე და მისი პატიმრები გათავისუფლდნენ.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ანალოგიურ რეფერენდუმებს მოკავშირე რესპუბლიკებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტის იურიდიული დემონსტრირებისთვის, ანუ იმის ნათელსაყოფად, რომ ამ ქვეყნების ხალხები 70 წლის მანძილზე იმპერიამ ვერ გატეხა და ვერ დააკარგვინა საკუთარი სახელმწიფოებრიობისაკენ მისწრაფება. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ ამ რეფერენდუმის 10 დღის თავზე (9 აპრილი, 1991 წ.) უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტისთვის ეწოდებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და არა მოპოვება, სავსებით სწორი იყო. ამით საქართველოს უზენაესმა საბჭომ განაცხადა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა იმპერიაში ყოფნის 70 წელი ყოფილა არა დამთავრება და გაუქმება საქართველოს 1918 წლის 26 მაისს მოპოვებული დამოუკიდებლობისა, არამედ მხოლოდ ამ უკანასკნელის დროებითი შეფერხება ძალადობის გზით.

— 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა მხარემ, დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წამლევავი რაოდენობრივი უპირატესობით (97%) გატეხა, როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობის ერთობლივი ნება. ეს იყო, დღეს არის და მომავალშიც იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მყარი იურიდიული, პოლიტიკური და მორალური საფუძველი.

— 1991 წლის 31 მარტის ეს რეფერენდუმი და 9 აპრილის საპარლამენტო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, განუყოფლად არის დაკავშირებული ზვიად გამსახურდიას სახელთან და მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა თაობის სახელთან.

გაბატა კოლუაშვილი,

პროფესორი,

ნიკა სანაბლიძე

პროფესორი,

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები

კახა კახიშვილი:

უნდა არსებობდეს რეგულაცია, რომლითაც განისაზღვრება, ვინ არის ქურნალისტი

როგორც კახა კახიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რამდენიმე ტელევიზიაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც აბსოლუტურად კავშირში არ არის სიმართლესთან. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში ისეთი მდგომარეობაა, როდესაც პასუხის გაცემის ქმედითი მექანიზმი არ არსებობს.

„მაინტერესებს თქვენი მოსაზრება მედიასთან დაკავშირებით. მაგალითად მინდა გადავუხადო ყველა ჟურნალისტს, რომელიც გულწრფელად მუშაობს, რათა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენდამი კრიტიკულია და ძალიან ბევრ კითხვის ნიშნებს შეიძლება შეიცავდეს, პასუხებს მოითხოვდეს, მაგრამ ამავდროულად ყველაფერს სჭირდება რეგულაცია. ბოლო პერიოდში ისეთი მდგომარეობაა, როდესაც პასუხის გაცემის ქმედითი მექანიზმი არ არსებობს. რამდენიმე ტელევიზიაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც აბსოლუტურად კავშირში არ არის სიმართლესთან. უკვე ზღვარს გადაცილებულია ასეთი მოქმედებები. მინდა, კითხვა დავუსვა თავად ჟურნალისტებსა და



„პალიტრაში“, გადაცემა მიმავდა, რაღაც სტატუსებს მეც ვწერდი და ბლოგიც მიმავდა „კვირის პალიტრაში“, შესაბამისად, შეიძლება ჩავეთვალოთ, რომ მეც ჟურნალისტი ვარ“? — განაცხადა კახა კახიშვილმა.



ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ ხალხს სხვა საკითხები და სხვა გამოწვევები უფრო აწუხებს, ვიდრე გაკოტრებული თომბიციის ნაწილები შევლენ თუ არა პარლამენტში, ან 15 მაისის პარლამენტთან რა სახის პერფორმანსები ჩატარდება. როგორც ნიკოლეიშვილი ამბობს, ეს ეხება თომბიციურ-პარტიულ ტელევიზიებსაც, რომლებიც ძირითადად 7%-ის, ან უფრო დაბალი რეიგინგის, ან საერთოდ ურეიგინგო პოლიტიკოსების რეკლამირებით არიან დაკავებული, მით უმეტეს, როგორც NDI კვლევები გვეუბნება, ხალხს არც ეს ე.წ. თომბიციური პოლიტიკოსები აინტერესებს და არც მათი „ბრძნული“ აზრები.

— ბატონო ლევან, ოპოზიციამ ორი თვით ადრე დააანონსა საპროტესტო აქცია, მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენს ყველა ქალაქში, ყველა სოფელში და დაარსმუხებენ მოსახლეობას, რომ „ამ ბრძოლას ნამდვილად აქვს აზრი“. მაგრამ არის NDI-ის კვლევა, რომლის თანახმად „ნაციონალური მოძრაობის“ ნდობის მაჩვენებელი 5%-ია. ამის მიუხედავად 15 მაისის რევოლუცია დააანონსეს. ბოლშევიკებიც არ აანონსებდნენ ასე ადრე რევოლუციას. რა აქვს განზრახული რეალურად ოპოზიციას?

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების მიმართ კეთილგანწყობილი არ ვარ, ბოლშევიკებთან მათი შედარება ცოტა უხერხულია. ისინი საკმაოდ მომზადებულნი იყვნენ, იცოდნენ რა უნდოდათ. გარდა ამისა, ძალიან კარგად იცოდნენ, როგორი იყო ხალხის განწყობა. ამათ იციან, ზუსტად რა უნდათ? ამ შემთხვევაში, 15 მაისი არის ტაქტიკური სვლა — ორი თვე განელონ იმისათვის, რომ სახე შეინარჩუნონ, თითქოს რაღაცას წარმოადგენენ.

ეს არის სახის შენარჩუნების მცდელობა. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ. რაც არ უნდა რეგიონი მოიარონ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ერთი, ან ორი დღე შეკრიბონ ხალხის გარკვეული რაოდენობა, რომელსაც ვეღარ გააჩერებენ, რადგან რასაც ამ ხალხს სთავაზობენ, მათ გემოვნებაში აღარ ჯდება. რაც მთავარია, ოპოზიციამ დაკარგა ამომრჩევლის ნდობა.

— როგორ ფიქრობთ, ამ მოტივით დაეცა ოპოზიციის რეიტინგი 7%-მდე, რის გამოც აკრიტიკებენ NDI-ს? ფაქტია, რომ სამი-ოთხი თვის წინ გაცილებით მაღალი იყო ოპოზიციის რეიტინგი...

— რა თქმა უნდა. საერთოდ რომ თავი დავანებოთ კვლევებს, ვიცით, რომ არჩევნების შედეგად ოპოზიციამ ხმების განსაზღვრული რაოდენობა მიიღო. მე, თქვენ და სხვამ ხმა მივეცი იმ პოლიტიკურ სუბიექტს, ვინც ჩვენს გემოვნებაში ჯდება. რატომ ვაძლევთ ხმას? — მიგვაჩნია, რომ ეს ადამიანები, პარტია ჩვენი ინტერესების გამტარებელი იქნება პარლამენტში. არჩევნების შემდეგ ჩვენ ვხედავთ სურათს, როდესაც არც ერთი პარტია ოპოზიციური სპექტრიდან პარლამენტში არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ შეძლეს დამტკიცებინათ, რომ არჩევნები გაყალბდა.

— მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება არჩევნების გაყალბება, არ არსებობს, მხოლოდ მათი განცხადებაა — „გაყალბდა“, რაც მტკიცებულება არავინ მიიღო...

— მნიშვნელოვანია, რომ ამას ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია. ყველა ამბობს, რომ არჩევნები ლეგიტიმურად ჩატარდა და მიუხედავად ხარვეზისა, არ შეიძლო რამე გაეყალბა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე. უფრო მეტიც, ოპოზიციას მოუწოდებენ, შევიდნენ პარლამენტში და რატომ? — იმიტომ, რომ თუკი არ სებობს პოლიტიკური ორგანიზაცია, მისი მთავარი მიზანი არის, გარამ ზედაპირული კრიტიკისა, წარმოადგინოს თავისი პროგრამა და ხედვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, შევიდეს პარლამენტში თუ საკრებულოში და იქ გააგრძელოს პოლიტიკური საქმიანობა. რასან ამას არ აკეთებენ, ეს ერთი მხრივ იწვევს გაუგებრობას და მეორე მხრივ ნდობის დაკარგვას. წარმოიდგინეთ, მე და თქვენ ხმა მივეცი პარტიას, მათ გადალაგეს ბარიერი, მაგრამ არ შედიან პარლამენტში. ამის მერე რატომ უნდა ვენდოთ ამ ხალხს? რატომ უნდა მივიდე აქციანზე, რომელსაც ისინი აანონსებენ, მით უმეტეს, როცა ვხედავ, რომ არჩევნებიდან დღემდე, რაც მათ თქვეს, ვერაფერი ვერ გააკეთეს.

— შეიძლება ვთქვათ, რომ ოპოზიციის დღემდე სააკაშვილის ბულინგის ქვეშ არის?

ლევან ნიკოლეიშვილი: მე არც იმას გამოვრიცხავ, განსარიცხავ საერთოდ არ უეპოვიდეს პოლიტიკაში, გადაიფიქროს...

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, ვხედავთ რა მდგომარეობაშია ოპოზიციის პრინციპში, საქართველოში ასეთ მდგომარეობაში ოპოზიციის არ ყოფილა, კატასტროფულ მდგომარეობაში არიან...

— რა თქმა უნდა, სააკაშვილი ამას არ მალავს. იმასაც — არავითარი შეთანხმება, არავითარი დიალოგი, რაც შეიძლება მეტი ხალხი ქუჩაში და რევოლუციის გზით მოხდეს ხელისუფლების შეცვლა. ჩვენ ეს ყველაფერი გავიარეთ. დამოუკიდებლობის აღდგენიდან ყველა ხელისუფლება რევოლუციის გზით შეიცვალა. ჯერ გამსახურდია, შემდეგ შევარდნაძე და ერთადერთი სააკაშვილი შეიცვალა არჩევნების გზით, რასაც მივსალმან საქართველოს მოსახლეობა.

— სააკაშვილი აცნობიერებს, რომ არჩევნების გზით ვერ მოვა ხელისუფლებაში და ამიტომაც ირჩევს ისევ რევოლუციურ გზას...

— რევოლუციურ სცენარზე მოსახლეობა არ მიდის და ამიტომაც არ მიიღებენ აქციებზე. კი ბატონო, ხმა მისცეს „ნაციონალური მოძრაობას“, მაგრამ ვინ აძლევს ხმას? — ვისაც არ მოსწონს ხელისუფლება.

— „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველიც აღარ გამოდის ქუჩაში, ეს არის სწორედ საყურადღებო...

— იმიტომ არ გამოდის, რომ ამომრჩეველი ეუბნება — მე თქვენ მოგეცით ხმა, შედიო პარლამენტში, ამათ ოპონირება გაუწიეთ, თქვენი ხმა გამაგონეთ, რაღაცა გააკეთეთ, მაგრამ თქვენ არ შედიხართ.

— მაშინ რის საფუძველზე ითხოვენ რიგგარეშე არჩევნებს? ამ ლოგიკით ხომ უფრო დაზარალებიან?

— იმიტომ, რომ სააკაშვილი ითხოვს. სააკაშვილი ხომ აბსოლუტურად გაკოტრდა იგივე ამომრჩევლის თვალში. ამომრჩეველი არის ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ მასზე არის დამოკიდებული ყველა პოლიტიკოსის ბედი. თუ ამომრჩეველი არჩევნებზე არ მივიდა, არ აირჩევს იმ პოლიტიკოსს და არაფერს არ წარმოადგენს. მეორე, არანაკლებ როლს თამაშობს მასმედია, თქვენც ძალიან დიდ როლს თამაშობთ პოლიტიკოსის ცხოვრებაში, მაგრამ უმთავრესი არის ამომრჩეველი, რომელმაც დაინახა, რომ სააკაშვილი მიუხედავად უამრავი დაპირებისა, საქართველოში არ ჩამოდის.

ამას დაემატა ის, რომ არჩევნებში მიიღეს ხმა და პარლამენტში არ შევიდნენ. გავისწინოთ 2008 წლის აგვისტოს ომი თავისი შედეგებით — როდესაც სახელმწიფო ომის შედეგად კარგავს ტერიტორიებს, მისი მმართველი მომენტალურად გადადგება. სააკაშვილი არა თუ არ გადადგა, არამედ ისევ გააგრძელა მმართველობა. რა ტიპის მმართველობა, ეს კიდევ სხვა საკითხია.

— ამომრჩეველის გადამწყვეტილებაზე რამდენად მოახდინა გავლენა დასავლეთის ღია განცხადებამ, რომ ოპოზიციის თამაშობს რუსულ თამაშზე? საქართველოში შექმნილი ვითარება, რომელსაც ოპოზიციის სთავაზობს საზოგადოებას, ეს არის რუსული თამაში?

— რა თქმა უნდა. ამომრჩეველს ახსოვს 2008 წლის ომი, უფრო ადრე 90-იანი წლები, რის გამოც საეხებით სწორად არიან რუსეთის წინააღმდეგი. ვინც არ უნდა ყოფილიყო დამნაშავე, ასე მარტივი არ არის. სამხედროები დაგვიხოცეს, მოსახლეობა აგვიყარეს ლიხავის ხეობიდან, სოფლები მიწასთან გაასწორეს და ცხადია, რომ რუსეთის მიმართ სიმპათია არ ექნებათ. ამ ქვეყანაში ადამიანები სხვანაირად ფიქრობენ და რატომ ფიქრობენ ევროკავშირზე? — იმიტომ, რომ განვითარება და ცივილიზაცია უნდათ. ევროპა არის მათი რეალური ადგილი, იცინა, რა გველის ევროკავშირში გაერთიანების შემთხვევაში. დასავლეთი არის ის, რომელიც არაფერს არ გვიფუჭებს ამ ქვეყანაში. ცხადია, რომ რუსეთის ანკოზი არეულობა ამ ქვეყანაში. ყარაბაღის მოვლენების შემდეგ რუსეთმა თავისი კომპონენტი გაზარდა რეგიონში. ამას ემატება ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, სადაც სამხედრო ბაზები აქვს გახსნილი.

აგერ, ამერიკის სენატში ცხადად ითქვა — 2012 წლიდან მოყოლებული საქართველო ადგას დასავლეთის გზას და ამ გზიდან არ გადაუხვევია. რამდენი ევროპელის განცხადება ვიცით სხვადასხვა საკითხებზე — არის კრიტიკა, არის შენიშვნები, არის რეკომენდაციები, რომელსაც ვასრულებთ, რაც ცხადია, რუსეთს არ მოსწონს. როგორ მოეწონება, როცა მოვა ამის დრო და რუსეთის მოსაზღვრე კიდევ ერთი სახელმწიფო გახდება ნატოს და ევროკავშირის წევრი. ეს მოეწონება რუსეთს? — არა, არავითარ შემთხვევაში.

ვევაში. ამიტომ მას აწყობს არეულობა, დესტაბილიზაცია, გაურკვეველი პოლიტიკური სიტუაცია და ამ სურათში ერთ-ერთზე ჯდება ოპოზიციის. ამას ემატება ისიც, რომ იქ არიან ადამიანები, რომლებსაც პრორუსული განწყობები აქვთ და ამას არ მალავენ.

— როდესაც ოპოზიციის მის მიერ არჩეული პოლიტიკოსი გამო ყოველდღიურად კარგავს ამომრჩეველს, ამ ფონზე ძალიან საინტერესო იყო გიორგი გახარია განცხადება. როგორ ფიქრობთ, რა ფორმით შემოვა ექსპრემიერი პოლიტიკურ ველზე? იქნება ექსპრემიერი ოცნების ოპოზიციის განხილვა და იქნება სწორედ ის ოპოზიციის, რომელზეც ისაუბრა ბიძინა ივანიშვილმა? — „ოცნებას“ ყველაზე პროფეროპული ოპოზიციის და ეს იქნება „ოცნებიდან“ წამოსული“ — ეს არის განხილვა?

— იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მაქვს, შემიძლია ერთგვარი ანალიზი გავაკეთო — ჩვენ აქ გვაქვს რამდენიმე მომენტი — გახარია მოკლე კომენტარით შემოვიღარვლა, მაგრამ სრულიად საკმარისად იმისათვის, რომ ძალიან მალე გააკეთებს განცხადებას. პირველი, რაც უნდა ვივარაუდოთ, რა თქმა უნდა, ოპოზიციური განწყობით იქნება წარმოდგენილი. ცხადია, ოპოზიციურ ველზე აპირებს თავისი ნიშის დაკავებას.

როცა გააკეთებს განცხადებას და წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინ იქნება მისი პოლიტიკური პარტნიორები, ამის შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა გუნდთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და ამას უნდა მივუხედავოთ — რა იქნება მისი პოლიტიკური პროგრამა, რას ფიქრობს საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის და სოციალური თვალსაზრისით და ა.შ. იმიტომ, რომ თუ რამე ვერ გააკვირვებ საქართველოში ადამიანს, ეს არის პოლიტიკური პარტია. მით უმეტეს, ვერ გააკვირვებთ იმით, რომ ასეთი ადამიანი, როგორც გახარია, შემოვა ისევ პოლიტიკაში. არანაკლები თანამდებობის ადამიანები ვნახეთ პარლამენტში. ჩვენ ოპოზიციურ სპექტრში გვყავს ყოფილი მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარეები, ყველანაირი ადამიანები გვყავს, ოღონდ მათ ერთი ნაკლი აქვთ — მათი პროგრამები არის მიუღებელი, ან გაურკვეველი. ან იმდენად ცუდი, რომ იმის შესაბამისი ხმა მიიღეს, რაც დაიშაბსურეს ამომრჩევლისგან.

— იქნება გახარია გუნდში თბილისის მოქმედი მერა? ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ იქნება გიორგი კვიციანი, მაგრამ ანაკლიის პორტის გაწევი დაწყებული დაპირებები ნაკლებად იძლევა ამ ვარაუდის საფუძველს, თუმცა როცა საქმე ქართულ პოლიტიკას ეხება, აქ გასაკვირი არაფერია...

— პიროვნებები, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, ამაზე ზუსტ პასუხს იმ შემთხვევაშიც ვერ გეტყვოდით, ამაზე პირადად გახარიასთან რომ შექონდა საუბარი. კარგია, რომ პროგნოზისკენ მივიხსნა რაფიკი, მაგრამ ჩემი მხრიდან არასერიოზულია რამე პროგნოზის გაკეთება. გამოიწვევს ეს ყველაფერი და მერე უკვე ადვილი იქნება ანალიზის გაკეთება. მე ასეთ რამესაც არ გამოვიცხავ, საერთოდ, გახარია არავითარი პოლიტიკური გუნდით არ წარდგას და საერთოდ არ შემოვიდეს პოლიტიკაში, გადაიფიქროს.

ძალიან ბევრი მიზეზის გამო ხდება გადაფიქრება, მათ შორის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ისეთი გუნდი ვერ ჩამოაყალიბოს, როგორც შექონდა წარმოდგენილი, ან პროგრამა და რესურსი არ იყოს ისეთი, როგორც უნდოდა და ამის გამო გადაიფიქროს. მაგრამ შეიძლება სხვა კუთხით დარჩეს პოლიტიკაში. გაცილებით უკეთესია დაველოდოთ ამ ყველაფერს. მერე უკვე გუნდიდან, რესურსიდან და ყველაფერიდან გამომდინარე ადვილი იქნება დასკვნების გაკეთება.

ესაუბრა თამთა ძარჩავა.

კიბერუსაფრთხოება და ქვეყნის გამონავიძობი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წარმომადგენლებმა, კიბერუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

სუსის ინფორმაციით, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და ამ კუთხით ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები განიხილეს. მხარეებმა, ასევე, უსაფრთხოების სფეროში რისკების შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებების მოდელირება და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. როგორც ექსპერტებმა შეხვედრის დასრულებისას აღნიშნეს, ასეთი ფორმატის შეხვედრები ხელს უწყობს მხარეებისთვის აზრისა და ხედვების გაზიარებას, ასევე, კრიტიკულ პრობლემებზე უფრო თავისუფალ გარემოში მსჯელობას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისა და კიბერსიუსტემების დაცულობის საკითხების განხილვისას საერთო კონსენსუსის მისაღწევად.



ნიკუტა გვარამიას მორიგი უნიჭო სპექტაკლი!

საპარტიო არ დაუშვებს სააკაშვილის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რენეკარნაციას, ეს 1000%-ით გამოირიცხულია! — ამის შესახებ ანალიტიკოსი ნიკა აბაშიძე სოციალურ ქსელში წერს:

„კრიმინალი სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“, მისი ტელემეხობე „გლავანალის“ გვარამია, სექტის განშტოებები და ბრმა მიმდევრები გვთავაზობენ ძველ, გაცრეცილ, მაგრამ ხელახლა ვითომდა აღმოცენებულ გზავნილს — შერიგებაზე, წარსულის დავიწყებაზე, ძებნილი ექსპრეზიდენტისთვის და მისი ამფსონებისთვის დანაშაულებათა პატიებაზე და ა.შ.

ნიკა გვარამიას გუშინდელი უნიჭო ტელესპექტაკლი მართლაც სექტის მორყეულ, დამახინჯებულ არსზე მკაფიოდ მიგვითითებს — ილაპარაკე საყოველთაო ამნისტიკაზე, შერიგება-მიტევებაზე და იმადროულად შეუტია საპატრიოტოს.

პარალელურად, საუბრობენ წარსულის დავიწყებაზე და კვლავაც ეწევიან პროპაგანდისტულ მედიატერორს, საჯარო მუქარას, უბინძურეს ცილისწამებას.

უმანკო კრავის როლებში უნდათ შესვლა და სოცქსელეებში ოპონენტებს ემუქრებიან განადგურებით, ადგენენ ე.წ. დასახვრეტა და დასაჭერთა სიებს.

საზოგადოების უდიდეს ნაწილს ახსოვს, თუ რა იყო სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი, წაგების ჩინოსნების მიერ შექმნილი სადამსჯელო ზონდერები, ღირსებაშელახლი უკანონო პატიმრები, ღამის ნოტიარიუსები, პოლიტიკური ნიშნით წახალისება-სასჯელები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ხაზინის უაპელაციო ძარცვა, ოკუპანტი კრემლისთვის მიწა-წყლის და სტრატეგიული ობიექტების ჩაბარება, უცხოელი პარტნიორებისათვის PR-ხრიკებით თვალში წაყრის შეყრა და მრავალი სხვა უმსგავსებელი.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართულ ოცნებას“ კი არა დაუშავა, არამედ საქართველოს დაუშავა.

კრიმინალი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება (თუ უკრაინულ სამართალდამცველებს გამოასწრო) მოხდება მხოლოდ ერთადერთი მოცემულობით — პასუხი აგოს კანონის წინაშე.

სხვა ვარიანტები ე.წ. შერიგებაზე, დავიწყებაზე, მიტევებაზე, მის პოლიტიკურ პროცესში ჩართვაზე განსაკუთრებით ამ მავნებელ სექტის მორიგი ბინძური შულერობა.

საქართველო არ დაუშვებს სააკაშვილის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რენეკარნაციას, ეს 1000%-ით გამოირიცხულია!

ეს მორიგი ხრიკი არ გაუვათ არც სააკაშვილს, არც გვარამიას და კრიმინალი ბელადის არც სხვა სუბიექტებს...”

წლიგანდელი მარტის მეორე ნახევარი თბილისში ერთი მხრივ კოვიდ-19-ის პანდემიის შესაჩერებლად შემოღებული შეზღუდვების შერბილების, მეორე მხრივ კი დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეტად საშიში მენყრული პროცესის ნიშნით წარმართა. თუ პირველი — დაწყებულ ვაქცინაციასთან „წყვილად“ — ხალხში გაზაფხულის დადგომასთან ერთად უკეთესი მომავლის იმედს აღიერებს, მეორე — არანაკლებ ძლიერი შიშისა და შოთვის გრძობას აღივებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქმის არსი საყოველთაოდ უკვე კარგადაა ცნობილი, მოდით, კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ მოვლენათა განვითარების ქრონიკას, ვნახოთ, თუ რას ამბობენ ამის შესახებ ჩვენებური თუ უცხოელი სპეციალისტები, რა ზომები გაატარა უკვე თბილისის მერიამ, რის გაკეთებას აპირებენ მომავალში.

თავდაპირველად, ვაშლიჯვრის დასახლების თავზე, ნუცუბიდის ფერდზე ერთი დიდი და რამდენიმე მცირე ზომის ნაპრაალი აეროგადაღების ფოტოების გასაჯაროების შემდეგ გახდა ცნობილი, რომლებიც ამ ორი უბნის გავლით მშენებარე სამანქანო ესტაკადის ზევიტ გაჩნდა. მან მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, მუხრან მაჭავარიანისა და ბრონეულას ქუჩების მცხოვრებთა დიდი შემოფოთება გამოიწვია.

უნდა ითქვას, რომ გეოლოგიურად ეს საკმაოდ ვრცელი უბანი დროებით სტაბილიზაციაში მყოფ ძველ მენყრულ არეალში მდებარეობს, სადაც ორიოდვე კვირის წინათ მეორადი გენერაციის მენყერი განვითარდა. გაჩენილი გრძელი განივი ნაპრალების სიღრმე გეოლოგების ვიზუალური დათვლიერების მონაცემებით, დაახლოებით 10-20 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ადგილზე მისულმა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ განვითარდა ეგრეთ წოდებული ბლოკური ტიპის მენყერი, რომლის ქვედა ნაწილის მასის მოცულობა დაახლოებით 500 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის ქანებია და რომლის ვერტიკალური მოძრაობა მტკვრის მიმართულებით, ფაქტობრივად, დაწყებულია.

აქვე აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი სასიქადაულო სწავლულის, ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტის, აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის შეფასებით, მთის ფერდობზე გაჩენილი ვერტიკალური ნყვეტის ქვევით მოქცეული ქანების მასა, საწარაუდოდ, გაცილებით დიდია და შესაძლოა, 5 მილიონ კუბურ მეტრს უახლოვდება.


ესაა კლასიკურისგან განსხვავებული მენყერი, რომელიც დიდი მოცულობის ბლოკებად გადაამგობდა, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ლოდებად დაიმსხვრევიან და 18-გრადუსიან ფერდობზე ქვევით ჩამოვა, — აცხადებენ ქართველი სპეციალისტები, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამისის შემსწავლელ მეცნიერებთან ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორი თეა გოდოლაძე, გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსი ლაშა სუნიშვილი, საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე, სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულეების პროფესორი ვახტანგ ბალავაძე.

პროცესი დაწყებულია, ის მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა მისი განვითარების დინამიკის განსაზღვრა სათანადო კვლევების ჩართვებლად შეუძლებელია. ეს კვლევები კი ორ ნაწილად უნდა ჩატარდეს: პირველი — ესაა მენყრის ყოველმხრივი გეოლოგიური შესწავლა, მეორე — საპროექტო-საინჟინრო დოკუმენტაციის შემომწება იმის დასადგენად, თუ

მენყერი ქალაქის თავზე

რამდენად სწორად იყო გაცემული საავტომობილო ესტაკადისა და სხვა სამოქალაქო მშენებლობების ნებართვები. თანაც გამოირიცხული არ არის საინჟინრო დარღვევების საფრთხის უკვე თვით მშენებლობის პროცესში წარმოშობა, — აღნიშნავენ სპეციალისტები.

ამავე აზრს იზიარებენ 22 მარტიდან თბილისში ჩამოსული გერმანელი სპეციალისტები, რომელთა პირველადი დაკვირვებით, პრობლემა მრავალსაშუალოა და მისი გადაჭრა კომპლექსურად უნდა მოხდეს. მენყრული პროცესების გააქტიურების კატალიზატორები შეიძლება იყოს ნებისმიერი სახეობის ვიბრაციები (ვთქვათ, სამშენებლო სამუშაოები) და უხვი წვიმები, თუმცა კი 18 მარტიდან თითქოს შეჩერებული სამშენებლო სამუშაოები კვლავაც გრძელდებოდა, ოღონდ შეზღუდულად.



გერმანელი ინჟინერ-გეოლოგის პეტერ ნიუმანის თქმით, მაჭავარიანის ქუჩაზე სამანქანო მიმოსვლის აკრძალვა სწორი გადაწყვეტილება იყო, ამჟამად კი მისაღებია პირველი მნიშვნელობის ზომები. კერძოდ, ჩასატარებელია მენყრისაწინააღმდეგო გამაგრებითი სამუშაოები, გასაყვანია დრენაჟი და მოსაწყობია მონიტორინგის სისტემა. ასევე უნდა გაგრძელდეს დაკვირვება, აგრეთვე საინჟინრო და გეოლოგიური კვლევები, რომელთა შედეგები განსაზღვრავს შემდგომ გადასადგმელ ნაბიჯებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად (აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თბილისის მერიის განცხადებით, მენყრის ზონაში მონიტორინგის სისტემა მიმდინარე კვირის მიწურულისთვის დამონტაჟდება).

ავარიული ფერდის დამჭერ ნაგებობებზე საჭიროა მოწყობა რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები, რომელთა პარამეტრები დაზუსტდება პროექტირებისას, უნდა მოეწყოს ქვათაცვენიდან დამცველი ბადე. მენყრის გამოწვევი მიზეზებზე მსჯელობისას, გეოლოგები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა განვიხილოთ სამი ვარიანტი: პირველი — ესაა ბუნებრივი, რაც ფერდობის გაშლის დაწყებამ განაპირობა. მან წონასწორობის ნერტილი დაკარგა, რასაც სეისმურად არამდგრად ზონაში გეოლოგიური პროცესების

დინამიკის გააქტიურება მოჰყვა; მეორე — სამშენებლო პროცესების მიერ პროვოცირება, რაც მენყრული ზონის ე.წ. ენის მოჭრას, ასევე მომატებულ ვიბრაციას მოჰყვა; მესამე — ესაა ორივე პროცესის ერთდროული, თავდაპირველად დამოუკიდებლად პარალელური, შემდგომ კი ზედმდები მოქმედება. ამის დადგენა კი მხოლოდ კომპლექსური გეოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე შეიძლება, რაზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

ბუნებრივია, რომ როცა მენყრისაში შრომა თბილისის მეტად მჭიდროდ დასახლებულ უბანს ემუქრება, პირველ ადგილზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამდენად, 16 მარტიდან სამანქანო მოძრაობა ორივე მიმართულებით გადაიკეტა მაჭავარიანის ქუჩაზე — ოპერატიული მართვის („112“) შენობიდან ვაშლიჯვრის დასახლებაში „ბპ“-ს ავტოგასამართ

სადგურამდე.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს ადამიანების უსაფრთხოება და სამუშაოები დროულად განარმოთ, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ბენდელიანი. — ამჟამად მაჭავარიანისა და ბრონეულას ქუჩების მოსახლეობისთვის საფრთხე არ არსებობს, ამდენად სახლებიდან ხალხის გაყვანა არ იგეგმება, ასეთი ხმების გავრცელება კი პანიკის დათესვის მიზანს ემსახურება. საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას აუცილებელ ინფორმაციას თბილისის მერია თავად მიანიჭებს.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მენყრისაში ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის უშუალო საშიშროება არ არსებობს, მერიის შესაბამისი სამსახურები დღეღამურ მზადყოფნაში არიან და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ზომებს მიიღებენ, ხალხის გაყვანისა და შესაბამისად განთავსების ჩათვლით.

გასულ პარასკევს, მაჭავარიანის ქუჩის მცხოვრებლებმა მერიაში პეტიათა შეიტანეს, რომელშიც მენყრისაში ზონაში ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტასა და სათანადო საინჟინრო და გეოლოგიური კვლევების ჩატარებას, აგრეთვე მათი შედეგების გასაჯაროებასა და საყოველთაო განხილვას მოითხოვეს.

ამასთანავე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია თბილისის მერის ძახხა კალაქის მიერ გაკეთებული განცხადების ერთ მომენტზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება:

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ ტერიტორიაზე არანაირი კორპუსების მშენებლობის სამუშაოები არ განხორციელდება და არც მომავალში არის დაგეგმილი...
ოთარ ტურაბალიძე

მენყრულ პროცესს პრაბანირი კაპური არ აქვს ნამახვანი ჰესის მშენებლობასთან

„ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების განმარტებით, ლაილაში-ლუს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე განვითარებულ მენყრულ პროცესს არანაირი კავშირი არ აქვს მდ. რიონის ხეობაში დაგეგმილ ქვედა ნამახვანი ჰესის მშენებლობასთან და არც მომავალში იკვეთება რაიმე შესაძლო ზემოქმედება ქვედა ნამახვანი ჰესის ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე. აღსანიშნავია, რომ მენყრული პროცესი მდ. რიონის მარჯვენა შენაკადის მდ. ლაჯანურის ხეობის მარცხენა ფერდობზე განვითარდა. მისი გავრცელების არეალი ქვედა ნამახვანი ჰესის საპროექტო წყალსაცავის დაბოლოებიდან, პირდაპირი მანძილით, დაშორებულია დაახლოებით 15 კილომეტრით, ხოლო კაშხლიდან დაახლოებით 24 კილომეტრით. ამასთანავე, ლაილაში მენყრული სხეული და მიმდებარე ტერიტორია, ლაბეჭინას ქედით მორფოლოგიურად მკვეთრად არის გამოყოფილი მდ. რიონის ხეობის იმ არეალისგან, სადაც დაგეგმილია ქვედა

ნამახვანი ჰესის მშენებლობა. ეს ორი ზონა, როგორც გეოლოგიური, ისე მორფოლოგიური პირობებით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, ქვედა ნამახვანი ჰესის წყალსაცავის და მდ. ლაჯანურის ხეობის ფერდობებზე განვითარებული მენყრული პროცესების ურთიერთგავლენა პრაქტიკულად გამოირიცხულია.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 24 მარტს ცაგერის მუნიციპალიტეტში, ლაილაში-ლუს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მენყრული პროცესები განვითარდა. მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებამ და ხანგრძლივმა წვიმამ აღნიშნულ ტერიტორიაზე მასშტაბური ძველი მენყრული სხეულის გააქტიურება გამოიწვია. ჩამოშლილმა მენყრულმა მასამ დაზიანა საავტომობილო გზა და 10 ოჯახი გარესამყაროს მოწყვიტა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგებმა ოპერატიულად განხორციელეს პირველადი კვლევები და შემუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები“, — განმარტავენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.



სახელმწიფო უსახლკაროების პრობლემას ვერ ხედავს

ვიანტი ინდივიდუალური სივრცე უქონდით. „EMC“-ის წარმომადგენელი გვიყვება, რომ პრობლემა საერთო სველი წერტილები, სპეციალური რეჟიმი, შესვლა-გასვლის წესები. მისივე თქმით, პრობლემა ისიც, რომ თავშესაფარი ქალაქთან დაშორებულია, რაც იურისტის განმარტებით ინსტიტუციონალიზმის საფრთხეს ქმნის. იურისტი ამბობს, რომ უსახლკაროთა რეგისტრაციისთვის იმდენი კრიტერიუმია დაწესებული, რომ ხანდახან ამ ადამიანების რეგისტრაცია შეუძლებელია.

„უსახლკარო რეგისტრაციისთვის მუნიციპალიტეტს ძალიან ბევრი ადამიანი მიმართავს. იგივე თბილისის ნაწილში, რაც უსახლკაროთა რეგისტრაციის წესმა მუშაობა დაიწყო, მართო თბილისის მუნიციპალიტეტს მოთხოვნით 2015 წლიდან 15 000-ზე მეტმა პირმა მიმართა. ჯერ კიდევ ათასობით განაცხადი განუხილველია, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა დაკმაყოფილებულია. წესით თავშესაფარი უნდა იყოს დროებითი, სანამ სახელმწიფო არ შეისწავლის ამ პირის საჭიროებას და არ გადაამისამართებს სხვა სერვისში. ლილოს თავშესაფრის შემთხვევაში ეს ასე არ არის. შეიძლება ადამიანი წელიწადნახევრის განმავლობაშიც დარჩეს ამ თავშესაფარში, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო ვერ სთავაზობს გაძლიერების და ამ უსახლკაროების მდგომარეობიდან ამოსვლის მექანიზმებს. როგორც კი წყდება რაღაც ტიპის სერვისი, იგივე ლილოს თავშესაფრის სერვისი, ეს ადამიანი დიდი ალბათობით ისევ ქუჩაში გადადის. პრობლემის დროებით მოგვარების ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე ადამიანის დახმარების და გაძლიერების“, – აცხადებს მარიამ ჯანიაშვილი.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) იურისტი „კომერსანტთან“ საუბრობს იმ ქმედით ნაბიჯებზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ პრობლემის მოგვარების კუთხით უნდა გადადგას. „კოვიდპანდემიის გათვალისწინებით, როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ერთმანეთთან იჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ და ადამიანები უსაფრთხო თავშესაფრით უზრუნველყონ. ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გვეუბნება, რომ სულ მცირე პანდემიის პირობებში ადამიანები არ უნდა იყვნენ ფიზიკურად განადგურების საფრთხის წინაშე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უმოკლეს დროში განახლდეს მუშაობა სახელმწიფოს სტრატეგიაზე და სამოქმედო გეგმაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ცვლილებები კანონმდებლობაში და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება, არსებული სერვისების რევიზია იმიტომ, რომ მუნიციპალურ დონეზე ეს სერვისები, მოკლევადიანი არ ითვალისწინებს ბენეფიციარების გაძლიერების ელემენტებს, მათი უსახლკარობიდან ამოყვანის მექანიზმებს და ა.შ. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ სწორება გააკეთოს უფრო გრძელვადიანი სერვისებზე და ამ ადამიანების რეალურ გაძლიერებაზე. ძალიან ბევრი მიმართულებით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სულ მცირე პასუხისმგებლობით მოევიდოს საკითხს და ერთხელ და სამუდამოდ ქმედითი ზომები მიიღოს“, – განმარტა მარიამ ჯანიაშვილიმა.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) იურისტი „კომერსანტთან“ საუბრობს იმ ქმედით ნაბიჯებზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ პრობლემის მოგვარების კუთხით უნდა გადადგას. „კოვიდპანდემიის გათვალისწინებით, როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ერთმანეთთან იჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ და ადამიანები უსაფრთხო თავშესაფრით უზრუნველყონ. ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გვეუბნება, რომ სულ მცირე პანდემიის პირობებში ადამიანები არ უნდა იყვნენ ფიზიკურად განადგურების საფრთხის წინაშე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უმოკლეს დროში განახლდეს მუშაობა სახელმწიფოს სტრატეგიაზე და სამოქმედო გეგმაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ცვლილებები კანონმდებლობაში და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება, არსებული სერვისების რევიზია იმიტომ, რომ მუნიციპალურ დონეზე ეს სერვისები, მოკლევადიანი არ ითვალისწინებს ბენეფიციარების გაძლიერების ელემენტებს, მათი უსახლკარობიდან ამოყვანის მექანიზმებს და ა.შ. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ სწორება გააკეთოს უფრო გრძელვადიანი სერვისებზე და ამ ადამიანების რეალურ გაძლიერებაზე. ძალიან ბევრი მიმართულებით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სულ მცირე პასუხისმგებლობით მოევიდოს საკითხს და ერთხელ და სამუდამოდ ქმედითი ზომები მიიღოს“, – განმარტა მარიამ ჯანიაშვილიმა.

ბარო ალაია

„პარკეტილის მეტროს მიმდებარე ტერიტორია, საღამოს ცხრის ნახევარი, ტროტუარზე ადამიანია წაქცეული. 50 წლამდე ასაკის კაცი, თავს წევს – ცხვირიდან სისხლი სდის. კითხვაზე როგორ ხარ? პასუხს არ გვცემს. ხარი 112-ში! გადაუდებელი დახმარების ექიმები ადგილზე მალე მოდიან, მალევე მოდის საპატრულო პოლიციაც. ერთ-ერთი ექიმი ამბობს, რომ პაციენტი მისთვის ნაცნობია, ქუჩაში არაფხიზელ მდგომარეობაში, არა ერთხელ გაუწვია მისთვის დახმარება. შუა ხნის ასაკის კაცი ისევ ნახვამია, ამბობს, რომ წაიქცა და ცხვირი დაარტყა. ამბობს იმასაც, რომ წასასვლელი არსად აქვს, ამიტომ ექიმებს საავადმყოფოში მიჰყვება.“

50 წლამდე ასაკის კაცი, რომლის სახელს და გვარს არ ვასახელებთ, გვიყვება, რომ თავშესაფარში ნამყოფი არაა, მიზეზი მისი ალკოჰოლზე დამოკიდებულებაა. როგორ აღმოჩნდა ქუჩაში, ამის გაგება ვერ მოვასწარით, თუმცა გავიგეთ ის, რომ ღია ცის ქვეშ ეს მისი პირველი ღამე არ იყო. საცხოვრისის საკითხი, საქართველოში ერთეულების პრობლემას რომ არ წარმოადგენს, სოციალურ ქსელში სამოქალაქო აქტივისტის, აკა სინჯიკაშვილის კიდევ ერთი პოსტი ადასტურებს. უმძიმეს ისტორიას ყვება მოხუცზე, რომელსაც დახმარება ესაჭიროება.

„ქალს, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, სამი წელია ვეხმარებით. ჯერ ნაცნობთან შევასახლეთ რამდენიმე თვით, შემდეგ გაგვიმართლა და ერთი ოთახი ვუქირავეთ, მეზობლებმა უჩივეს, სუნი დგას ეზოში, ოთახში ანტისანიტარიაა და გაიყვანეთო. ადგნენ და პირდაპირ ქუჩაში გამოუშვეს. ამ ყინვაში ღამით ბორდიურზე წევს, ავადმყოფი და გაუზებდურებული. პოლიციას მივმართეთ, სადაც შეძლეს, ყველგან დარეკეს და ყველამ უარი თქვა დახმარებაზე. ქალაქის ერთადერთ მუნიციპალურ თავშესაფარში თქვეს, რომ ვერ მიიღებენ, რადგან ავადმყოფია, გადაადგილება უჭირს და თავის მოვლა არ შეუძლია, თავშესაფარში კი მომვლელები არ ჰყავთ. მთელ ამ ხელა ქვეყანაში, არ არსებობს დაწესებულება, სადაც უსახლკარო, უპატრონო და მომაკვდავ ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ. ასეთი ადამიანები 70-ზე მეტი გვყავს ქალაქში და 500-ზე მეტი ქვეყანაში, რომლებიც არიან ღრმა მოხუცები, ავადმყოფები, უსახლკაროები და უსაბუთოები. ეგ ჩვენ ვისაც ვახერხებთ, თორემ კიდევ რამდენია, ვინ იცის. კითხვა მაქვს ქვეყნის მთავრობასთან, რა ექნათ? ქუჩაში რომ დავტოვო, შეიძლება გაიყინონ და ვინ არის პასუხისმგებელი? არ არსებობს სამსახური, რომელიც მომაკვდავ მოხუცებს მიხედავს ქუჩაში. დახმარება გვინდა, რომ ცოცხალი გადარჩეს. ამ ხალხს ქუჩაში ათეული წელია სძინავს, ასე გააგრძელონ სიკვდილამდე?“, – წერს აკა სინჯიკაშვილი.

ქალს გაუმართლა, დღის ბოლოს კერძო თავშესაფარი გამოჩნდა, სადაც ბებო გადაიყვანეს, თუმცა სინჯიკაშვილი წერს, რომ სახელმწიფო უწყების არც ერთი წარმომადგენელი საკითხით არ დაინტერესებულა. როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა უსახლკარო ადამიანებთან დაკავშირებით? როგორ ხდება მათთვის სტატუსის მინიჭება და ვინ აკონტროლებს ამ პროცესს? საკითხზე


ქვეყანა, რომელსაც სასოვრისის პოლიტიკა არ აქვს!

„კომერსანტთან“ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) იურისტი მარიამ ჯანიაშვილი საუბრობს. მისი თქმით, სახელმწიფო პოლიტიკა უსახლკარობასთან ბრძოლის ნაწილში, წლიდან წლამდე არ იცვლება. იურისტი ამბობს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ერთიანი პოლიტიკა. იგი აცხადებს, რომ უსახლკარობის სტრატეგია, რომელიც რაღაც დონეზე მაინც აღწერს არსებულ მდგომარეობას, არ არსებობს. ქვეყანას არ აქვს გეგმა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მოკლე ან გრძელვადიან პერსპექტივაში.

„თბილისის ტერიტორიაზე ერთადერთი თავშესაფარია, რომელიც მიუსაფარ, ქუჩაში მცხოვრები ინდივიდებისთვის ფუნქციონირებს. ეს თავშესაფარი უკიდურესად ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის თვითმოვლის უნარის არ მქონე პირებს, ალკოჰოლზე და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ ადამიანებს არ იღებს. მეორეს მხრივ, არ არსებობს ლილოს თავშესაფრის ალტერნატივა და შესაბამისი სერვისი, რომელიც უსახლკაროს საცხოვრისით უზრუნველყოფდა. ეს ადამიანები მხარდაჭერის გარეშე რჩებიან, რაც სახელმწიფო პოლიტიკის დიდი და მნიშვნელოვანი ხარვეზია.“

ღია მმართველობის პარტიურობის სამოქმედო გეგმით საქართველოს მთავრობას ჰქონდა აღებული ვალდებულება, 2020 წლის დეკემბრამდე შეემუშავებინა საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა, თუმცა სტრატეგია ამ დრომდე შემუშავებული

ქალს, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, სამი წელია ვეხმარებით. ჯერ ნაცნობთან შევასახლეთ რამდენიმე თვით, შემდეგ გაგვიმართლა და ერთი ოთახი ვუქირავეთ, მეზობლებმა უჩივეს სუნი დგას ეზოში, ოთახში ანტისანიტარიაა და გაიყვანეთო. ადგნენ და პირდაპირ ქუჩაში გამოუშვეს. ამ ყინვაში ღამით ბორდიურზე წევს, ავადმყოფი და გაუზებდურებული



არ არის. სამუშაო პროცესში ჩვენც ვიყავით ჩართულები და ვხედავდით, თუ რა გამოწვევები არსებობდა უშუალოდ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტის შემუშავებაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2019 წლის აპრილიდან მოყოლებული ეს ჯგუფი რამდენჯერმე შეიკრიბა და ძირითადად ტექნიკურ საკითხებს განიხილავდნენ, შინაარსობრივ საკითხებზე არ გადასულან. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ მთავრობა საცხოვრისის პოლიტიკას შეიმუშავებდა, შეისწავლიდა უსახლკაროების ფორმებს, მასშტაბებს, გამოწვევებს მიზეზებს, მაგრამ ფაქტი არის ის, რომ ხელისუფლებამ დაწესებული დედლინი გაუშვა. ახლა არც გვაქვს ინფორმაცია, რა ვადეში გეგმავს ამ პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის გაგრძელებას ან დასრულებას“, – განაცხადა მარიამ ჯანიაშვილიმა.

მარიამ ჯანიაშვილი გვიყვება, რომ უცნობია, რამდენი უსახლკარო ადამიანი გვყავს ქვეყანაში. მისი თქმით, სოციალური მომსახურების სააგენტოს კანონით აქვს ვალდებულება, რომ უსახლკარო პირთა სტატისტიკური მონაცემები ანარქოს, რაც პრაქტიკაში არ სრულდება. იურისტის განმარტებით, სააგენტოს მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტის ინფორმაცია აქვს. „EMC“-ის წარმომადგენელი ამბობს, რომ კანონში ასევე მითითებულია მუნიციპალიტეტების ვალდებულება, თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო პირები დაარეგისტრირონ და უზრუნველყონ თავშესაფრით, თუმცა ჯანიაშვილის განცხადებით არაპრობორირიტეტულობის გამო ეს ვალდებულება არ სრულდება.

იურისტი ამბობს, რომ ლილოს თავშესაფრის სერვისი არ შეიძლება ადეკვატურ სერვისად ჩაითვალოს. მისი განმარტებით, გარდა იმისა, რომ თავშესაფარი არ იღებს იმ ადამიანებს, რომელთაც მხარდაჭერა ყველაზე მეტად სჭირდება, ასევე არის ინსტიტუციური გარემო, რაც ჯანიაშვილის თქმით, ნიშნავს იმას, რომ ბენეფიციარებს არ აქვთ შესაძლებლობა თავ

მინისტრის ახლებური ხელვა, რას ქართულ კულტურას ნააღებია

ოსტაბების რეაბილიტაცია - კულტურული კვლევის აღსაღებია

მამუკაძემ ძალიან დიდ სიახლეს, რომელსაც როცა გარეთ გამოვიტანთ, საზოგადოება იფიქრებს: „ეს ხომ ისედაც ასეა და ისედაც ასე უნდა ყოფილიყო“, მაგრამ დღემდე, ეს ასე არ იყო. ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ დღიდან დაიწყო ნგრევა იმ სტრუქტურებში, რასაც ძველთა დაცვის სტრუქტურები და პროფესიონალიზმი ერქვა. რა თქმა უნდა, რეფორმები საჭირო იყო, მაგრამ – არა ნგრევის ფორმით, – ამის შესახებ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „იმედის დილაში“ განაცხადა.

„ძალიან მალე გამოვაცხადებ, რომ ვინც თვითონ რეესტრის შექმნას. ესენი არიან კირიტიშვილი, ქვიტინოვი თუ სხვა პროფესიის ადამიანები. ამბობენ, მჭედელი არ ჰყავს ქვეყანასო, მაგრამ არიან ქვის ოსტატებიც და სხვებიც, რომელთაც შევქმნი რეესტრს. სავარაუდოდ, ერთი წლის თავზე, მზად ვიქნებით, რომ სამინისტრომ მათი სერტიფიცირების პროცესი წარმართოს. ყველა ძველს უნდა შეეხოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც ამ საქმის პროფესიონალია და გარემონტება კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ – რეალური რესტავრაცია“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

გელათის სასურველი დიდი ნაწილი მთლიანად მოსახსნელია...

გელათის რესტავრაცია ურთულესი პრობლემაა, რადგან ეს პროცესი 2008 წლიდან დაიწყო და ზოგჯერ დაუფერხებლად და ზოგჯერ პროფესიონალიზმის ნაკლებობით, ზოგჯერ მონიტორინგის ნაკლებობით პრობლემების კასკადია. ამიტომ დღეს, ძალიან რთულია ჯადოსნური ჯოხი დაიქნოს და პრობლემები უცებ მოაგვაროს, – ამის შესახებ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა. „არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფის მოსაზრებით, რომლებიც ამ საქმის პროფესიონალები არიან და

არაერთი ძველი გადაურჩენიათ, გელათის სასურველი 800 კვადრატული მეტრი ფართი მთლიანად მოსახსნელია. ამას თანხმება ძველთა დაცვის სააგენტო, რომელიც ამ ძველის რესტავრაციას კურირებს, ასევე მათ თანხმება მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც სამუშაოების მეორე ეტაპს კურირებს. ესაა მოსაზრება, რომელსაც ყველა თანხმდება, როცა ამ სფეროში კონსენსუსის მიღწევა რთულია. ეს ნიშნავს დიდი თანხების მოზილიზების საჭიროებას და იმ საქმის თავიდან გაკეთებას, რომელიც ერთხელ უკვე გაკეთდა“, – განაცხადა წულუკიანმა. ამასთან, მინისტრმა განმარტა, რომ ამ პროცესში უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთვებიან.

პრიორიტეტი იქნება ხელოვანი ალბანი!

პრიორიტეტად მესახება ის, რომ ახალგაზრდას ან იმ ადამიანს, ვინც შეიძლება ახალგაზრდა არ არის, მაგრამ ხელოვანია და თავს გრძნობს მიტოვებულად ყველასგან და უპირველესად სახელმწიფოსგან, ჩვენ რაღაცნაირად მივწვდეთ, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისი თქმით, რეგიონულ მუზეუმებს, თეატრებს, თავისუფალ დასებსა და ხელოვანებს მეტი ყურადღება მიექცევა.

„ჩემი სურვილია, რომ ჩვენი სამინისტრო არ იყოს ალქმული როგორც მხოლოდ მარჯანიშვილის ან რუსთაველის თეატრის სამინისტრო. ასევე, მეორე უმთავრესი მიმართულება არის კულტურაზე წვედომის პრობლემა, რადგან კულტურაზე წვედომა სხვაგვარია რუსთაველი და სხვაგვარია ქიათურის ამა თუ იმ სოფელში.

სრული თანასწორობა მიღწეული ვერ იქნება, მაგრამ დისბალანსი უნდა იყოს იმხელა, რომ ეს სასწორი მეტ-ნაკლებად გასწორდეს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

* * *

ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ისეთი ფილმები, რომლებიც საზოგადოებას ხელს



უნყობს და აქ გამოვყოფ ახალგაზრდა თაობებს, მათ უნერგავს სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულს, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

„ეს ფილმები აძლევს სწორ ინფორმაციას, თუ რა არის ადამიანის უფლებები, რა არის დემოკრატიისთვის საჭირო. ამ ახალგაზრდა თაობებში, კიდევ უფრო ყურადღებამისაქცევ ჯგუფად უნდა გამოვყოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც ოკუპაციის გამო დევნილთა მესამე, მეოთხე თაობაა. მათ უნდა იცოდნენ, რომ მშობლიური ადგილია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ეს მტკივნეული საკითხია და ჩემი აზრით, ხელოვნება ამასაც უნდა მოემსახუროს“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ახალიგაზრდა კულტურის კოდექსის შექმნა

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა კულტურის კოდექსზე და მის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„კულტურას კოდექსი სჭირდება, რადგან დღეს კულტურასთან დაკავშირებული ნორმები ათეულობით კანონშია გაბნეული. არსებობს კანონი ცალკე მუზეუმების შესახებ, ცალკე თეატრებისა და კულტურის შესახებ და ა.შ. ყველა ის დარგი, ვისაც ამბიცია აქვს, რომ უნდა განვითარდეს, საჭიროებს, რომ ერთ დოკუმენტში იყოს თავმოყრილი ყველა ნორმა, თავებად დალაგებული თეატრებისთვის, მუზეუმებისთვის და ა.შ. და რაც მთავარია, ეს ტექსტები უნდა იყოს თანამედროვე, რადგან ძირითადი კანონები დანერგულია მაშინ, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობა აღვადგინეთ“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ბერლინური ფესტივალი „ზამთრის ზღაპარი“

ასე ერქვა მეორე საერთაშორისო ლიტერატურულ-სამუსიკო ფესტივალს ციკლიდან „წელიწადის ოთხი დრო“, რომელსაც ბერლინის ლიტერატურულმა სალონმა LiteraDO-მ უმასპინძლა. პანდემიის გამო, რადგან გერმანიაშიც მკაცრი შეზღუდვები იყო, შემოდგომის კალიდოსკოპის მსგავსად, ეს ღონისძიებაც ონლაინფორმატით ჩატარდა.

მოქალაქეებმა გამოგზავნეს. სასიამოვნო ის იყო, პროფესიონალ მწერლებთან, მუსიკოსებთან, მხატვრებთან, სკულპტორებთან თუ სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან ერთად ფესტივალში აქტიურად რომ მონაწილეობდნენ მოყვარულებიც, რომელთა ტალანტმაც ჩვენზე დაუფიქრარი შთაბეჭდილება მოახდინა.

„ჩაკეტილი კარების“ პირობებში მსგავსი ღონისძიებების გამართვა იოლი არ არის, მაგრამ შარშანდელმა „შემოდგომის კალიდოსკოპმა“ ასეთი ფესტივალის ჩატარების აუცილებლობაში დაგვარწმუნა, თუნდაც პანდემიის პირობებში, – ჩაერთა საუბარში ფესტივალის გენერალური დირექტორი სანდრა ვერელი. – ამიტომ გადავწყვიტეთ, შემოქმედი ადამიანებისთვის იმედები არ გაგვეცრუებინა. არც შევმცდარვართ, რადგან მონაწილეთა რა-

ოდენობამ 350-ს გადააჭარბა. სასიამოვნო ის იყო, რომ უფროსებთან ერთად ბავშვებმაც გაგვახარეს თავიანთი ტალანტით. ონლაინ-ფორმატმა საშუალება მოგვცა, მეგობრობის ხიდებით დაგვეკავშირებინა ერთმანეთთან ამერიკის, კანადის,

საძე (ისრაელი), უნა ბაბახანოვა (საბერძნეთი); მუსიკაში: კატო ვერსვიანი (საქართველო), ნიკოლოზ შერელიანი (გერმანია), გიორგი კურენკოვი (ბელარუსი); თბილისის ანსამბლი „ქართული ფანტაზია“ (ხელმძღვანელი ზურაბ ხუციშვილი), ვაჟთა გუნდი „ბათუმი“ და ბავშვთა ანსამბლი „გურჯაანი“; მხატვრობა: ლევან ყიფიანი, თამაზ არაბოვი, რიტა დოლიძე (სამივე – თბილისი).



საქართველოს, გერმანიის, იტალიის, ბრიტანეთის, თურქეთის, სინგაპურის თუ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ორგანიზატორებს ყოველივე ეს გვახარებს, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართული კულტურის მსოფლიოში პოპულარიზაციის თვალსაზრისით სწორ გზაზე ვდგავართ.

კომპეტენტურმა ჟიურიმ გულდასმით განიხილა საკონკურსოდ გამოგზავნილი მასალები და საუკეთესო სამეულები გამოავლინა: ლიტერატურაში: პოეზია – მარინა თექთუაშვილი (საქართველო), ვიქტორია კაშვილი (კანადა), ელენა ბილიაკი (აშშ), პროზა – ვაჟა დანელია (საქართველო), ალექსანდრე ერისთავი (თურქეთი), ირაკლი ხოჯაშვილი (გერმანია); ზამთრის რეპორტაჟები პროზასა და პოეზიაში – ბოგდანა რომანოვა (უკრაინა), ქეთევან სესიაშვილი (საქართველო), თარგმანები – ნინო სპანდერაშვილი (სომხეთი), სანდრა ვერელი (გერმანია); სახვით ხელოვნებაში: ნინო ქოქო-

დონში ბავშვთა საუკეთესო ნამუშევრების პრეზენტაციაზე იქნება წარდგენილი; განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბალდათის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრი „ირიდა“, რომელმაც სამუსიკო სკოლასა და მოზარდ მევიოლინეთა ანსამბლ „ბალდათის ვარსკვლავებთან“ ერთად სპეციალურად ფესტივალისთვის დადგა პოეტურ-ქორეოგრაფიული ნომერი ვაჟა აზარაშვილის მუსიკაზე და ფესტივალის გრან პრი დაიმსახურა. ეს საბავშვო კოლექტივი „ლონდონის საფეხი“ ბავშვთა ონლაინ-კონცერტზეა მინვეული.

„ზამთრის ზღაპარი“ დასრულდა, მაგრამ ჩვენი საფესტივალო ციკლი „წელიწადის ოთხი დრო“ გრძელდება: 2021 წლის პირველი აპრილიდან ახალი მართონი დაიწყება – „გაზაფხულის ზმანება“. LiteraDO და „ქართლის დედა“ ისევ გაუღებენ კარს შემოქმედ ადამიანებს.

ესაუბრა ვაჟა დანელია

„ქართული მუსიკა ორბელიანების სახსლემი“

საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, ორბელიანების სახსლემი I აპრილიდან იწყება კონცერტების ციკლი „ქართული მუსიკა ორბელიანების სახსლემი“, რომელზეც ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდება. – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, კონცერტების მიზანია, როგორც ქართული მუსიკის პოპულარიზაცია, ასევე ახალგაზრდა, ნიჭიერი, უცნობი ავტორებისა და მუსიკოს-შემსრულებლების ნახაზის დახატვა. მნიშვნელოვანია, რომ კონცერტების სერია გარკვეულწილად უკავშირდება ორი დიდი ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის 150 წლის და რევაზ ლალიძის 100 წლის იუბილის აღნიშვნას.

საქართველოს პრეზიდენტის სურვილია, რომ პანდემიის პირობებში, რამაც განსაკუთრებულად შეაფერხა ქვეყანაში კულტურული პროცესი, ახალგაზრდა შემსრულებლებს: სტუდენტებს, მოსწავლეებს, ახალგაზრდა კომპოზიტორებს მიეცეთ კონცერტების გამართვისა და მათი ხელოვნების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საშუალება.

კონცერტები ორბელიანების სახსლემი პანდემიის რეგულაციების სრული დაცვითა და გათვალისწინებით ჩატარდება.

ფესტივალის შემდეგ ნომინაციებს ითვალისწინებდა:

1. ლიტერატურა: ზამთრის პოეზია ან პროზა;
2. მუსიკა: ფიფქის ციკვა (ინსტრუმენტული და საცეკვაო) და ზამთრის სიმღერები (ვოკალი);
3. სახვითი ხელოვნება: ზამთრის ესკიზები – პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი (ფერწერა, გრაფიკა); ხრამუნა თოვლის ქვეშ (ქანდაკება);
4. ფოტოხელოვნება: ზამთრის სურათები (ბუნება, ქალაქი, სოფელი);

– კოვიდ-19-ის მიუხედავად, ბერლინის ლიტერატურულ-სამუსიკო სალონმა LiteraDO-მ და პროექტმა „ქართლის დედა“, რომლებიც ბერლინში ქართულ კულტურას პოპულარიზაციას უწევენ, მეორე ფესტივალი ჩაატარეს, – გვითხრა პროექტ „ქართლის დედა“ ხელმძღვანელმა თამარინა შვილმა. – კონკურსისთვის საკუთარი შემოქმედება 20 ქვეყნის



საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა შაბბა სერენ იაზბანმა ირაკლი გაბლიაშვილის გადაცემაში „კონტაქტი“ ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე, ყალბ ახალ ამბებზე, ოკუპაციაზე, რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, მათ შორის – რუსულ-თურქულ პარტნიორობაზე ისაუბრა.



თურქეთის ელჩი: ამ რეგიონში ჩვენ ერთი ბედი გვაქვს: რას მოგვიპოვებ ჩვენ, მოგვიპოვებ თქვენ და პირიქით...

„ჩვენ არა მხოლოდ კარგი მეგობრები, არამედ ნათესავები ვართ: ქართული წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ თურქეთში, აგრეთვე ცხოვრობენ აფხაზეთში... საქართველოში არიან ადამიანები, რომელთა ნათესავებიც თურქეთში ცხოვრობენ – ჩვენ ნათესავები ვართ და ამ რეგიონში ჩვენი ბედი ერთია: რაც მოგვიპოვებ ჩვენ, მოგვიპოვებ თქვენ და პირიქით. ჩვენი პარტნიორობა ძალიან ნაყოფიერად ვითარდება. არა მხოლოდ დემარკირებული გვაქვს სახმელეთო საზღვარი, არამედ ერთმანეთს ვესმარებით სატრანზიტო პროექტებში, რეგიონულ თანამშრომლობაში. ერთმანეთთან გვაქვს პარამონიზებული სტაბილურობის და უსაფრთხოების საკითხები რეგიონში. როდესაც ერთმანეთთან რაიმე შეშფოთების საგნები გვაქვს, გახსნილი ვართ. როდესაც კონფლიქტური ინტერესები არსებობს, გვაქვს გზები, ვისაუბროთ და ორივესთვის სასარგებლო კონსენსუსს მივაღწიოთ.“ – განაცხადა ელჩმა.

ადამიანები მსგავს ახალ ამბებს კრიტიკული კითხვებით კითხულობდნენ და უსმენდნენ. ეს მოდის გარედან, მაგრამ პოულობენ სასარგებლო მასალებს შიგნით. გვჭირდება მედეგობა ყალბი ახალი ამბების წინააღმდეგ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არ გახლავთ ისეთი რამ, რის უგულებელყოფასაც მოვასდენთ.“

6-წევროვანი კავშირი

ამ კონტაქტში ელჩმა აღნიშნა, რომ თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

„კონფლიქტების მოგვარება გახლავთ საკითხები, რომელშიც სხვადასხვა მონაწილეები არიან ჩართულნი. თურქეთი არ გახლავთ კონფლიქტების მოგვარების პროცესში ჩართული, რომელსაც საქართველო სხვა პარტნიორებთან ერთად ახორციელებს – ევროკავშირთან, გაეროსთან და ეუთოსთან ერთად, მაგრამ თურქეთი მას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. თურქეთი და საქართველო თანხმდებიან, რომ რეგიონში საჭიროა სტაბილურობა, დიალოგი და ოკუპაციის დასასრული. კონფლიქტები, რომელსაც საქართველო აწყდება, უსაფრთხოების სერიოზული საფრთხეა.“

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს ჩართულობას 6-წევროვან კავშირში, რომელიც დღის წესრიგში კიდევ ერთხელ ყარაბაღის მეორე კონფლიქტის შემდეგ დადგა და რომლის მიმართაც ოფიციალურ თბილისის მიუღებლობა აქვს რუსეთის ფაქტორის გამო, ელჩი ამბობს, რომ ანკარა თბილისზე ზეწოლას არ განიხილავს და აღნიშნავს იმასაც, რომ კავშირის თაობაზე ინიციატივა თურქეთს არ ეკუთვნის.

„არსებობს იდეა 3+3 რეგიონული საკითხებში თანამშრომლობისთვის. ეს შეიძლება, იყოს თანამშრომლობა, კონფლიქტების მოგვარება, მაგრამ თუ საქართველო აცხადებს,

რომ მას ამ პლატფორმაში მონაწილეობა ესაზღვრება, ეს შეშფოთება ჩვენ გვესმის. ჩვენს ურთიერთობაში არ გახლავთ პარამეტრი, რომ საქართველოზე ზემოქმედება მოვახდინოთ, რათა საქართველომ რაიმე გააკეთოს და ეს ნათლად და გაცხადებული ანკარაში მინისტრ ზალკალიანის ვიზიტის დროს, როდესაც გახსნილი საუბარი შექონდათ ჩვენს მინისტრთან – ჩავუშოლლუსთან. ვფიქრობ, საკითხიც არ დგას, საქართველოზე ზეწოლა მოხდება თუ არა. მაგრამ ჩვენ ვიზიარებთ შეშფოთებას, რომ რეგიონში უნდა მივიღოთ სიტუაციამდე, სადაც უსაფრთხოების პრობლემები მოგვარებული იქნება და კონფლიქტები არ იქნება გაყინული. რადგან ისინი გაყინულები არ არიან – ზეგავლენას ახდენენ ადამიანების ცხოვრებაზე.“

„როდესაც ალიანსის წევრი ხართ, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები უზრუნველყოფის დასაზღვევად.“

ელჩმა ისაუბრა ნატოში წევრობის გზაზე თურქეთის მიერ საქართველოს მხარდაჭერაზე: „საქართველოს სურს, განვერიანდეს ნატოში. საქართველო ნატოს წევრობას ხედავს, როგორც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დასაზღვევად. არის ისტორიაში გარკვეული დამთხვევები: თავის დროზე თურქეთი ნატოში სტალინის გამო განვერიანდა – აღმოსავლეთ ტერიტორიის წართქვეცა სურდა, ამიტომაც შევედით ნატოში და თქვენ იცით ალიანსის ღირებულება – ნატო ცივი ომის დროს თავის მიზნებს ძალიან კარგად ემსახურებოდა. თუ საქართველოს სურვილი აქვს, ალიანსში განვერიანდეს, რომლის წევრიც გახლავთ თურქეთი, როგორც კარგი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენ მივესალმებით და მხარს დავუჭერთ ამას. ჩვენი სამხედრო წვრთნები ყოველთვის ემსახურებოდა საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებას და ზოგადად, უსაფრთხოებას. როდესაც ალიანსის წევრი ხართ, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები უზრუნველყოფის დასაზღვევად გვარდება, მაგრამ მეორეს მხრივ, ნატო თავდაცვითი ალიანსია, იგი არაა მიმართული მესამე მხარის წინააღმდეგ.“

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და შივი საქართველოში

„რუსეთი ჩვენი პარტნიორია, ბიზნესს ვანარმოებთ რუსეთთან. რუსეთი იცნობს თურქეთს, თურქეთი – რუსეთს, მაგრამ საქართველო რუსეთს უკეთესად იცნობს, ვიდრე თურქეთი – ეს ცოდნისა და მენტალიტეტის საკითხებია. ცივი ომის დროს რკინის ფარდა იყო ჩამოფარებული, მაგრამ თურქეთის მიმე მრეწველობა, როგორც არის რკინა და ფოლადი, საბჭოთა კავშირის მიერაა შექმნილი. ყოველთვის არსებობდა ურთიერთობები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობებს ვავითარებთ, მაგრამ რუსეთს არ გააჩნია უფლება, რაიმე განცხადებები აკეთოს და არ აქვს ხმის უფლება, თუ როგორ ვანარმოებთ ჩვენს სტრატეგიულ ურთიერთობას ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან. სუვერენობა სწორედ ეს გახლავთ. ჩვენ რუსეთთან გვაქვს თანხვედრა და ინტერესების აცდენაც, ასევე ნატოს წევრებთან: როდესაც დააკვირდებით ნატოს და ევროკავშირის წევრებს, მათაც საკუთარი ურთიერთობები გააჩნიათ რუსეთთან.“

როგორც ელჩი აღნიშნავს, თურქეთი და რუსეთი კარგი პარტნიორები არიან და ამან არავინ უნდა შეანუსოთ არც საქართველოში და არც სხვაგან:

„თქვენთან რუსი ტურისტები ჩამოვლიან და როდესაც მეგობრებს ველაპარაკებ, ისინი ამბობენ, „ჩვენ არ გვჭირდება ისინი როგორც ოკუპანტები, ჩამოვიდნენ როგორც ტურისტები“. ჩვენ ურთიერთობები ისე უნდა ვმართოთ, რომ ყველა ქვეყანამ დღის ბოლოს დაინახოს, რომ გამყარებული კონფლიქტი არ გახლავთ პოლიტიკა. შევხედოთ, რა ხდება მთიან ყარაბაღში – 27 წელი იყო ოკუპირებული. ოკუპანტი ამბობდა, რომ „დრო მის სასარგებლოდ მუშაობდა“. ასეთი გამყარებული კონფლიქტი არ გახლავთ გზა სტაბილურობის მიღწევას, ეს გახლავთ ილუზია. რეგიონში ყველა ქვეყანას უნდა გააჩნდეს გაგება, რომ აღნიშნული კონფლიქტების მართვა არ გახლავთ კონფლიქტების მოგვარება.“

ელჩმა აქვე აღნიშნა ისიც, რომ საქართველოს მხრიდან სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულება მისასალმებელია, რადგან ომი გამანადგურებელია.


შავი ზღვის უსაფრთხოება

„შავი ზღვა ყოველთვის იყო თურქეთის უსაფრთხოების დოქტრინის ცენტრში. ჩვენ არ ვალიარებთ ვირომის ანექსიას. ყირიმი უკრაინის ტერიტორიაა და იგივე ეხება აფხაზეთს. შავი ზღვის კონტექსტში პრობლემა არა ზღვაში, არამედ ზღვის გარშემო – ხმელეთზეა. ზღვა დახურულია, იგი თურქულ სრუტეებში გადის, რომელიც მონტროს კონვენციის შესაბამისად ფუნქციონირებს. თურქეთი ამ კონვენციის შესრულების გარანტორი გახლავთ და ამას ძალიან ყურადღებით ვაკეთებთ. ჩვენ ზღვაზე კონფლიქტები არ გვსურს. ნებისმიერ ესკალაციას შავ ზღვაზე პირდაპირი ზეგავლენა ექნება ყველა სანაპირო ქვეყანაზე თურქეთის ჩათვლით“, – განაცხადა ელჩმა და დასძინა, რომ „მონტროს კონვენციას ყავდა არ გასვლია – ის აღსრულებადია და სრულდება. ეს სამართლიანი თამაშია.“

დეზინფორმაცია მოდის ბაკრატან

რომორც ელჩი აღნიშნავს, როდესაც საქართველოში ელჩის სტატუსით დაინიშნა მუშაობა, პირველი ქორი, რომელიც მან მოისმინა, ყარსის ხელშეკრულებას ეხებოდა. „დავაკვირდი, რომ მსგავსი სიბეცე და აშკარა ტყუილი როდესაც დღის წესრიგში დგება, ეს არა საქართველოდან, არამედ საქართველოს გარედან მოდის. ვიცავდეთ, მიმეკვლია ვებ-გვერდებისთვის. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ისინი გახლავთ ჯგუფები საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომლებიც ამის პედალირებას ახდენენ. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ჩონჩხია: როდესაც გეოსტრატეგიულ ლანდშაფტს შეხედავ, დაინახავ, რომ იგი თურქეთიდან მოდის, საქართველოდან მიდის კასპიის ზღვის მიმართულებით.“

მათ (დეზინფორმაციის ავტორებს – რაშ.) სურთ ეჭვის რუქმემა. 2021 წელში ვიმყოფებით! ყარსის ხელშეკრულება არ შეწყდება, ბათუმის უკან დაბრუნებას არ მოვიტხოვთ, სამცხე-ჯავახეთში სამხედრო ძალებს არ გავაგზავნი – ეს ღიად შემიძლია, გითხრათ. გვინდა,



ტრაპი ბაილენს ქორნილის აპრიტიპებს

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ქორნილში სადღეგრძელოს წარმოთქმისას ჯო ბაიდენის პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა. ქორნილი გასულ შაბათს დონალდ ტრამპის რეზიდენციაში, მარ-ალაგოში გაიმართა. შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელშიც მან სიძე და პატარძალი ადღეგრძელა, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა პოლიტიკური განცხადება გააკეთა.

კერძოდ, დონალდ ტრამპმა ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა გააკრიტიკა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ჩინეთი, ირანი და სასაზღვრო კრიზისი. დონალდ ტრამპმა ასევე ისაუბრა 2020 წლის არჩევნებზე და აღნიშნა, რომ ის დარღვევებით ჩატარდა. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტმა ასევე მიმართა ქორნილის სტუმრებს კითხვით – „გენატრებით უკვე?“

ავსტრალიამ რუსეთს სანქციები დაუწესა

ავსტრალიამ რუსეთის ერთ მოქალაქესა და ოთხ კომპანიას სანქციები დაუწესა. ენ. „შავ სიაში“ ის კომპანიები მოხვდნენ, რომლებიც ყირიმის ხიდის სარკინიგზო ნაწილის მშენებლობაში მონაწილეობდნენ.

ანალოგიური მიზეზით რუსეთის ორ მოქალაქესა და ოთხ კომპანიას სანქციები ორი დღის წინ კანადამაც დაუწესა.

კუბინს მკვლელები შაბილია ვუნოლო!

ლიბიურების პრეზიდენტმა გიტანას ნაუსედამ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მკვლელები შეუძლია უწოდოს.

უურნალისტის კითხვას, უწოდებდა თუ არა ჯო ბაიდენის მსგავსად ვლადიმერ პუტინს მკვლელებს, ლიეტუვის პრეზიდენტმა უპასუხა: სამწუხაროდ, ეს ასეა. ვხედავ მრავალ ნიშანს, რომელიც აშკარად ცხადყოფს ცივილიზებული სამყაროს ღირებულებების, ქვეყნების თვითგამორკვევის უფლებებისა და მეზობლის ტერიტორიული მთლიანობის უგულებელყოფას, რომელსაც ბოლო პერიოდია, კრემლი საკმაოდ დემონსტრაციულად ახორციელებს.

იტალიური სასიმღერო სკოლის არაერთ შესანიშნავ წარმომჩენთა შორის გამორჩეული ადგილი უდაოდ დაიმკვიდრა გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე, მსოფლიო საოპერო ხელოვნების ერთ-ერთმა აღიარებულმა ბარიტონმა ტიტო გობიმ, რომლის სახელთანაცა დაკავშირებული იტალიის მუსიკალური კულტურის უამრავი ნათელი ფურცელი. თავისი შემოქმედებით გობი უდიდესი იტალიელი ბარიტონების – ტიტო რუფოს, მატია ბატისტანის, ჯუზეპე დე ლუკას, ჯონო ბუკის და სხვათა ბრწყინვალე ტრადიციების თავდადებული დამცველი და ერთგული მსახურია.

იგი დაიბადა 1913 წლის 24 ოქტომბერს იტალიური ალპების მიმდებარე პატარა ქალაქ პასანო-დე-გრანაში. მამამისი მიეკუთვნებოდა ძველ მანტუანელთა წარმომავლობას, ხოლო დედა ენრიკა ვალის წარმოშობით ავსტრიიდან გახლდათ. სკოლის დამთავრების შემდეგ გობი პადუის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შედის, თუმცა ძლიერი და ჟღერადი ხმის აღმოჩენისთანავე გადაწყვეტილებას იღებს, დაუფლოს მუსიკალურ განათლებას. იგი სიმღერის სწავლას რომში ცნობილ ტენორთან ჯულიო კრამისთან იწყებს, ვის სახლშიაც ახალგაზრდა პიანისტი გოკონა, ცნობილი იტალიელი მუსიკატორის რაფაელ დე რანსისის ქალიშვილი – ტილიდა გაიცნო და მასზე დაქორწინდა.


გობის პირველი გამოსვლა 1935 წელს შედგა საქალაქო თეატრ გობოში, ბენინის ოპერა „სომამბულის“ პარტია რეჟისორის ხელხელში. სამ დადგმაში მან ბანის პარტია შეასრულა, მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ ბარიტონზე გადადის და მეორეხარისხოვანი პარტიების სიმღერას იწყებს. „1936 წელს დაიწყო გამოსვლები როგორც „კომპრიმანომ“ (მეორეხარისხოვანი პარტიების შემსრულებელი). მე მიწევდა ერთდროულად რამდენიმე როლის შესრულება, რათა რომელიმე მომღერლის ავადმყოფობის შემთხვევაში შემეცვალა იგი... განსაკუთრებულ უზრუნველობას ეგრეთ ნიშნავდა პატარ-პატარა როლები ქმნიდნენ. ჩვეულებრივ ისინი რამდენიმე ფრაზისგან შედგებოდა, რომლებიც გაბნეული იყო სხვადასხვა მოქმედებებში, რითაც მასში იმალდებოდა არაერთი ამოუცნობი საფანგი...“ – აცხადებს მომღერალი.

1937 წელს რომის თეატრ „ადრიანოს“ სცენაზე გობის დებიუტი შედგა ჟერმონის პარტიაში ვერდის ოპერა „ტრავიატაში“. პერსპექტიული ახალგაზრდა მომღერლის მუსიკალური შესაძლებლობების შესახებ, ფართოდ გასუქდა ადგილობრივ თეატრალურ პრესაში. ერთი წლის შემდეგ მომღერალმა ვენის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა თუ არა, იგი უმაღლესი პრიზის „ლა სკალას“ საოპერო თეატრის სკოლაში ჩარიცხვას სტიპენდიატად. ამავე წელს რომის „ტეატრო დელ ოპერაში“ მღერის მარსელის პარტიას პუჩინის ოპერა „ბოჰემაში“ და დანკარიოს პარტიას ბიზეს „კარმენში“, ხშირად გამოდის ყარაკალას თერმების ლია ცის ქვეშ გამართულ მასშტაბურ დადგმებში, რამაც მომღერლის ხმას მყარი, გარანტირებული საფუძვლები და მაღალი პროფესიონალური ხელწერა შესძინა.

1941 წლის მარტში მომღერალი წარმატებით გამოდის „ლა სკალას“ თეატრის სცენაზე ჯორდანოს ოპერა „ფიოდორში“. ამ თეატრში უკვე მიღწეული წარმატება მის მიერ გამყარებულ იქნა ბელკორეს პარტიით დონიციეტოს „სიკვარულის ნექტარში“. აღნიშნულმა გა-

მოსვლებმა, აგრეთვე ვერდის „ფალსტაფში“ მთავარი პარტიის შესრულებამ, ტიტო გობი წარმოაჩინა იტალიური ვოკალური ხელოვნების უდიდეს მოკვლევად. იგი იტალიის თეატრებიდან უამრავ მონვევას იღებს, ამავე დროს პირველ გამჩანაწერებს ახდენს და კინოში გადაღებებს იწყებს. მომდევნო პერიოდში მან ორმოცდაათზე მეტი ოპერა ჩაწერა გრამფირფიტაზე და ოცდაექვს კინოფილმად გადაღებულ ოპერაში მიიღო მონაწილეობა.

მომღერალი-მსახიობი ჯერ კიდევ 1937 წელს ლუი ტრენერის ფილმ „კონ-



ტიტო გობი – შთაბორონებით სავსე ხელოვანი

დოქტორებში“ გამოჩნდა. ომის დამთავრების შემდეგ მარიო კოსტა მას სრულმეტრადიანი ფილმ-ოპერა „სევილიელ დალაქში“ იღებს. ამის შესახებ გობი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „ამას წინათ ხელახლა ვნახე ეს ფილმი, გადაღებული 1947 წელს ამ ოპერის მიხედვით. მე მასში მთავარ პარტიას ვმღერე. ხელახლა განვიცადე ყველაფერი და იმაზე მეტად არ მომეწონა, ვიდრე წინათ. იგი მიეკუთვნება სხვა სამყაროს, შორეულს და დაკარგულს, მაგრამ არა დაუბრუნებელს, მე როგორც მისი მთავარი როლი მთავარ როლია, რომელიც ამოუწერავი ცვლილებებით, როგორც მდიდრულად და ნათლად იყო გამოყენებული ეს მუსიკა! მართლაც უიშვიათესი ოპერა, ჩემს სულთან ძალიან ახლოს იდგა. 1941-დან 1943 წლამდე მესტრო რიჩისთან ამ როლზე თითქმის ყოველდღე ვმეცადინებოდი. მოულოდნელად, რომის თეატრში „სევილიელი დალაქის“ პრემიერაში მონაწილეობას მთავაზობს; ამ მიზევად უარი ვუთხარი, რასაკვირველია, არ შემიძლო. ამას ახლა სიამაყით აღვნიშნავ, რადგან მეცო ძალა, მათთვის გადადება მეტოვო, რადგან მიმანჩა: კარგად რომ მოვმზადებულყავი, საკუთარი თავში რწმენა მეგრძნო, საჭირო იყო დრო. პრემიერის გადადება დაეთანხმნენ და პირველად იგი 1944 წლის თებერვალში შევასრულე, ჩემთვის ეს სწორი ნაბიჯი იყო წინფილისთვის. ამის შემდეგ მე არა ერთ წარმატებას მივაღწიე, მაქმდნენ სუფთა ხმოვანების და სიმღერის სრულყოფისათვის.“

მოგვიანებით გობი ერთხელ კიდევ გა-

დაილო კოსტამ ლეონკოვალოს „ჯამბაზებში“. ერთდროულად მან სამი პარტია იმღერა: პროლოგი, ტონიო და სილევი. 1947 წელს მომღერალი წარმატებით ხსნის სეზონს მეფისტოფელის პარტიით, ბერლიოზის „ფაუსტის გასამართლებაში“. ამის შემდეგ იწყება უამრავი საგაერთო მოგზაურობა. ამავე წელს მომღერალმა აპლოდისმენტებს უმართავს ლონდონი და სტოკჰოლმი. 1950 წელს იგი „ლა სკალას“ საოპერო დასთან ერთად ხელახლა ჩადის ლონდონში და „კოვენტ-გარდენის“ სცენაზე გამოდის – „სიკვირის ნექტარში“, „ფალსტაფში“, „სიცილიური საღამოებისა“ და ვერდის „ოტელოში“.

როგორც იმ დროს „კოვენტ-გარდენში“ გამომსვლელობა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო მომღერალს, ვერდის ოპერების ნამყვანი პარტიების შესრულებითათვის ტიტო გობის საგანგებო პრიზი მიანიჭეს. მას ხელშეკრულებებს სთავაზობენ მსოფლიოს მსხვილი საოპერო თეატრები, გამოდის: ლისაბონში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში. მისი რეპერტუარი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ოპერებით მდიდრდება. შეასრულა რა სხვადასხვა ეპოქის და სტილის პარტიები, „მის განკარგულებაშია მსოფლიო საოპერო რეპერტუარის მთელი ემოციურ-ფსიქოლოგიური სპექტრი“, – აღნიშნავდა კრიტიკა. „განსაკუთრებული დრამატულობით გამოირჩეოდა ვერდის ოპერების შესრულების დროს, როგორებიცაა: მაკბუტი, სიმონ ბოკანეგრა, რენატო, რიგოლეტო, ჟერმონი, ამო-

ნასრო. მომღერლის გემოვნებასთან ახლოდგას რთული, მაგრამ რეალისტური და გამოკვეთილი სახეები პუჩინის ოპერებიდან – ჯანი სკივი, სკარპია; ლეონკოვალოს; მასკანის; ჩილვას; ვერისტული ოპერების პერსონაჟები; როსინის – ფიგაროს იუმორისტული სახე“, – წერდა ლანდმანი.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ნახევრიდან ტიტო გობი მთელი სეზონი საერთაშორისო ტურნეებს დაუთმო, იშვიათად ჩნდებოდა იტალიურ სცენაზე. ამ პერიოდში მისი ყველაზე უფრო პოპულარული პარტიები იყო „იასო ოტელოდან“ და სკარპია „ტოსკადან“. მოღვაწეობის მთლიან პერიოდში (საკონცერტო შესრულებისა და კინოფილმების ჩათვლით) მომღერალმა 900-ზე მეტჯერ შეასრულა სკარპიას პარტია, რაც თავისთავად სენსაციური მაჩვენებელია.

1964 წელს ლონდონის „კოვენტ-გარდენის“ სცენაზე ფრანკო ძეგირელიმ პუჩინის ოპერა „ტოსკა“ დადგა, რა დროსაც მიწვეულები იყვნენ ტიტო გობი და მარია კალასი. ამ მოვლენის შესახებ გობი წერს: „თეატრი საშინელ დაძაბულობას და შიშს განიცდიდა იმის გამო, რომ ბოლო მომენტში მოსალოდნელი იყო, კალას უარი ეთქვა მონაწილეობაზე. მის მენეჯერს სარდენ გარდინსკის ფაქტიურად არანაირი დრო აღარ რჩებოდა მოულოდნელობის შემთხვევაში. რეპეტიციებზე კატეგორიულად აიკრძალა უცხო ადამიანების დასწრება. გაზეთები, მსოფლიო მედი, ლაკონური იმფორმაციით იფარგლებოდნენ, ირწმუნებოდნენ რა, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა... ამ, ამ დაუწინავე წარმოდგენის აღწერა, რომელიც ჩემმა მეუღლემ ტილიდამ მეორე დილას თავის დღიურში ჩაწერა: – რა არაჩვეულებრივი საღამო იყო! სრულყოფილი დადგმა, უპრეცედენტო წარმატება. დაუსრულებელი ოვაციის შემდეგ სცენა მაყურებელი გაივსა. ვნახე, თითქმის ყველა იმ წამს თავი ახრებდა ინტელექტუალური, რომლებმაც კოსტიუმები გაიხადეს, მოიძვრეს შალსტუხები, ღმერთმა უწყის, კიდევ რა და მონდომებით იქნებდნენ ტიტო შეუდარებელი იყო, ორივე შემსრულებლის რეაქცია ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა არაჩვეულებრივი სიზუსტით. მარიამ სრულად გამოქრწნა ტოსკას არაერთგვაროვანი სახე, მიანიჭა რა მას უფრო მეტი ადამიანობა და გამოსაძლებელი პირდაპირ უნდა ითქვას, ამის შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ მას გააჩნდა და სხვა არავის. იმათ კი, ვინც გაბედავდა მისი მაგალითის მიბაძვას, ვურჩევდი: ფრთხილად იყავით!“ ორივე მომღერალმა კრიტიკოსების უამრავი საქებარი სიტყვები დაიმსახურა. სენსაციური სპექტაკლი შემდეგ პარიზსა და ნიუ-იორკში გამოკრდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მომღერლის ხმის ტემპრმა გადაირიბება დაინყო, რამაც აიძულა, შეემცირებინა სოლო კონცერტები. მან, მუშაობდა რა „ჩიკაგოს ლირიული ოპერის“ ზაზაზე, საოპერო რეჟისორობაც მოსინჯა. 1970 წელს იგი დაეამს პუჩინის „ჯანი სკივის“, რომელშიც თვითონაც მონაწილეობს. მისი დადგმით ჩიკაგოს დასამა „ბაბა მასკარადი“, „ფალსტაფი“, „ტოსკა“ და სხვა კლასიკური ოპერები შეასრულა. როგორც მომღერალი, ტიტო გობის ბოლო გამოსვლა 1977 წელს შედგა ამსტერდამში ფალსტაფის როლში.

გობი, მარია კალასთან ერთად ჩიკოვსკის სახელობის IV საერთაშორისო კონკურსის საპატიო სტუმრის სტატუსით 1970 წელს ეწვია საბჭოთა კავშირს. საქვეყნოდ აღიარებულ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობამ მას საშუალება მისცა საყურადღებო მასალები შეეგროვებინა. გასაკვირი ნამდვილად არ არის, რომ მომღერლის მიერ გამოცემული ნიგნები – „ჩემი ცხოვრება“ და „იტალიური ოპერის სამყარო“ მკითხველებში დიდ დაინტერესებას იწვევს, რომლებშიც მან ლიალ და ნათლად აღწერა საოპერო სცენის მიღმა არსებული საიდუმლოებანი. იგი შეყვანილია ჟურნალ „გრამაფონეს“ სახელოვანთა დარბაზის შემადგენლობაში. გარდაიცვალა 71 წლის რომში, 1984 წლის 5 მარტს.



**გელა
ჩოქიავშილი,**
(ტელ. 551 49 19 97)

ქართული ჩაქოსოვის აღიარება

ქართველი რეჟისორი ლანა დოლობერიძე საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციის სამინისტროს ხელოვნებისა და ლიტერატურის ოფიცრის ორდენით დაჯილდოვდა. ჯილდო საფრანგეთის ელჩმა დიეგო კოლასმა გადასცა.



„ცხოვრება იმდენად მძიმე ამბებით არის სავსე, განსაკუთრებით, ჩვენი დღევანდელი, რომ როდესაც რაღაც ისეთი შეგხვდება, განყენებული, თავისთავად, სასიამოვნოა. თითო ასეთი რამ, ეს უკვე კავშირია საფრანგეთსა და საქართველოს შორის. მე ვისც მნიშვნელოვნად მიმანია“, – თქვა ლანა დოლობერიძემ.

საფრანგეთის ელჩმა საქართველოში დიეგო კოლასმა აღნიშნა, რომ ის მოხარული და ამაყია, რომ ლანა დოლობერიძე ჯილდო პირადად გადასცა.

„მოხარული ვართ და ვამაყოფთ, რომ ქალბატონი ლანა დოლობერიძე დავაჯილდოვეთ. ჩვენ პატივს მივგავებთ დიდ ხელოვანს, რომელიც საქართველოს საფრანგეთს აცნობს. ქართულ კინოს საფრანგეთში კარგად იცნობენ. ჩვენთან დიდ პატივს სცემენ კინოს და კონკრეტულად, ქართულ ფილმებს. ლანა დოლობერიძემ ამ კუთხით დიდი როლი შეასრულა. მის ფილმებში, რომელიც ნანახი მაქვს, განსაკუთრებით ძლიერი ქალების სახეებმა მომხიბლა. ვფიქრობ, ის ბევრი ქალისთვის იყო ინსპირაცია“, – თქვა ელჩმა კოლასმა.

გრანდ სლეიმი

პირველობა ღაპიკვებით



გრანდ პრინციპს გრანდ სლეიმდე ამალელებული თბილისის ძიუდოსიტა ტრადიციული ტურნირი ცხრა მედლითა და, რაც მთავარია, გუნდური გამარჯვებით დაიკვებეთ!

მართალია, ოლიმპიურ სასახლეში გამართული სამ-დღიანი უმეცურებლო მარათონი ჩვენსავით 2-2 „ოქრო-თი“ დაასრულეს აგრეთვე მონღოლეთმა და კანადამ, მაგრამ კონკურენტებს ვაჯობებთ როგორც ჯილდოების საერთო რაოდენობით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც. ისიც აღსანიშნავია, რომ ორ ნონაში ორ-ორი პრიზიორი გვყავს, საპატიო კვარცხლბეკზე კი ერთადერთი „ჯვაროსანი“ ქალი ავიდა.

რაც შეეხება ოლიმპიურ პერსპექტივას, მეორე ლი-ცენზიის დაუფლების რეალური შანსი ტატიანა ლევიცკა-

შუკვანს გაუჩნდა, ხოლო ეთერ ლიპარტელიანი, მოგეხსენებათ, ცალი ფეხით უკვე ტოკიოშია.

დავძენთ, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ძლიერმა ნაკრებებმა კორნავერუსის გამო ბოლო მომენტში თქვეს უარი ტატიანაზე გამოსვლაზე.

„ოქრო“ – თემურ ნოზაძე (60 კგ), გელა ზაალიშვილი (მძიმე ნონა);

„ვერცხლი“ – ეთერ ლიპარტელიანი (57 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ), ილია სულამანიძე (100 კგ);


„ბრინჯაო“ – ლაშა შავდათუაშვილი, ალექო მამიაშვილი (ორივე – 73 კგ), ტატი გრიგალაშვილი (81 კგ), საბა ინანიშვილი (+100 კგ).

სუთი რგოლი

ქართული „დუბლი“

მართალია, რამდენიმე დღის წინათ ქართველი ფეხბურთელები სტოკჰოლმში დამარცხდნენ, მაგრამ სპორტის ჩვენებური მოყვარულები შევდეთის დედაქალაქს მაინც დადებითად მოიხსენიებენ, რადგან იქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიადის ლიცენზია ორმა „ჯვაროსანმა“ – ფიგურისტმა მოიპოვა.

თანამემამულეთა წარმატებებს სათავე აღინა ურუშაძემ დაუდო, რომელმაც ორი ვარჯიშის ჯამში 169,01 ქულა დაიმსახურა და მე-20 ადგილი დაიკავა (233, 17 ქულით „ოქროს“ ეთერ თუთბერიძის რუსი შეგირდი ანა შჩერბაკოვაზე).



დაეუფლა), ხოლო შემდეგ მორის ყვიტელაშვილის ჯერი დადგა.

ორჭიდის ჯამში მიღებული 231,81 ქულა და მე-14 ადგილი – ასეთია მისი საბოლოო შედეგი, რამაც პროგრამა-მინიმუმში შეასრულებინა.

დავძენთ, რომ მესამე ლიცენზია, შესაძლოა, ანასტასია მეტელკინასა და დანიელ პარკმანის წყვილს ხვდეს წილად, რომელიც სექტემბერში გერმანულ ობერსტდორფშიც ცდის ძალეს.

მას ამჯერად სკანდინავიაში მიზანმიმართულად 0,5 ქულა დააკლდა.

მუნდიალ – 2022

შოკი დიდუბეში

ლეგიონერი

მორაბატი და ძიუდოსიტა წარმატებების შემდეგ ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ 28 მარტი დღესასწაულად იქცეოდა და ამ დაუფინყარ თარიღს ფეხბურთელები დააგვირგვინებდნენ.

დიახ, როცა შესვენების წინ ხვინა კვარაცხელიამ კაშიაკა-კაბაძე-კიტეიშვილის რეაქტიული 4 კ-ს კომბინაცია უზუსტესი „ცაციათი“ დაასრულა და პირველი ტაიმი 1:0 მოვიგეთ, ჰაერში სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ...

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ბორის პაიჭაიის სახელობის „დინამო არენა“
საპარტიველო – ისპანეთი 1:2 (1:0)

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩანერძილი ის ათიოდე წუთი, როცა ასევე მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის ეგიდით ნიურნბერგში გამართულ უთანასწორო ბრძოლაში ნემსაძე-ქეცბაიას ორსულიანი მინიატურის შემდეგ თვით გერმანიას ვამარცხებდით.

დაახლოებით ამ ხნის განმავლობაში გასტანა ჩვენმა ლიდერობამ კიდევ ერთ გრანდ-ესპანეთთან, მაგრამ დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინათ განვითარებული მოვლენებისგან განსხვავებით, ამჯერად საფეხებით საფუძვლიანი ამბიციაც გაგვანდდა, სულ მცირე ერთი ქულა მაინც მოგ-



ვეპოვებინა, რადგან: მოგეხსენებათ, შამპანურს ის მიერთმევეს, ვინც რისკავს, საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი ფრანგი თავკაცი ვილი სანიოლი კი არც მალავს, რომ უპირატესობას გახსნილ, შემტევ ფეხბურთს ანიჭებს, რომელიც სასურველ შედეგს ადრე თუ გვიან მაინც მოიტანს;

ჩვენი არ იყოს, გადაბმული შეხვედრების მხოლოდ სამ-დღიანი ციკლი სტუმართაგანაც დამატებით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რესურსებს მოითხოვდა საფეხებით გასაგები მიზეზების გამო: შინ ნაგების ტოლფასად მიჩნეული ფრე სა-

ბერძნეთთან და მოქმედ ცვლილებების მგზავრობა, აღნიშნული თამაშის დასრულებისთანავე თბილისისაკენ;

თ ა ო ბ ა თ ა ცვლის მტკიცეული პროცესის შესაბამისად, ძირფესვიანად განახლებული მრისხანე მეტოქის შემადგენლობა და ლუის ენრიკეს მიერ ძირითადში ერთბაშად 7 ახალი წევრის დაყენება;

და, რაც მთავარია, ტრიბუნებზე 30 პროცენტის, ანუ დაახლოებით 15 ათასი გულშემატკივრის დაშვება.

ბუნებრივია, ჩამონათვალი კიდევ შეგვიძლია გავაგრძელოთ, მაგრამ ზოგადი სურათის შესაქმნელად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

მაშ, რატომ ჩაგვაშხამდა სალამო? – იკითხავთ, ალბათ. საიდუმლო არავისთვისაა, რატომაც ისინიც კი, ვინც ამჯერად მიორგეს პირინელთა მისიური, ლეგიონერთა ჩათვლით, ევროპის ტოპ-კლუბებში ინართობინ, რაც ჩვენი დონის ნაკრებებთან მატჩებში სწორად გადამწყ-

ვეტი ფაქტორია. თქვენ წარმოიდგინეთ, ამჯერად „ფურია როხაში“ მისი თილისმის – სერხიო რამოსისთვისაც კი არ მოიძებნა ადგილი, რომელსაც 180-ე შეხვედრა უნდა ჩაენერა საკუთარ სანაკრებო აქტივში, რაც მსოფლიოში მესამე(!) შედეგი იქნებოდა.

დაუმატეთ ამას ფავორიტის მწვრთნელის ტაქტიკური მიგნება, რომელმაც პირველ ტაიმში კარგად გაშიფრა, რომ რამდენადაც კაკაბაძე აქტიურია შეტევაში ჩართვისას, იმდენად მოიკოჭლებს უშუალო მოვალეობის შესრულებისას და ამიტომ მეორე ნახევარში მარცხენა ფლანგზე ალბას ოლმო შეუწყვილა, რამაც გადაწყვიტა კიდევ საინფარქტო სახანაობის ბედი.

მოკლედ, უმადური უნდა იყო კაცი, „ჯვაროსნები“ სასაყვედუროდ რომ გაიმეტო, მაგრამ, ამავე დროს, უკვე თანდათან რამენაირად უნდა განვთავისუფლდეთ მთელ რიგ ტრადიციულ უკეთურობათაგან, მაგალითად – ბოლო წუთების სინდრომისაგან.

ალბათ, მიხვდით, რასაც ვგულისხმობთ: უკვე მერამდენედ, საბედისწერო მეორე ბურთი რუმინელი მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე გაგუშვით!

კოსოვო – შევდეთი 0:3.
დღეს საბერძნეთი – საქართველო. 22:45 | არხი.

თპალი არ ეხს...

მოვიდა დრო, გიორგი შერმა-დინე საუბრისას მისი თამაში სტაბილურად შევფასოთ აღმატებულ ხარისხში და, რადგან თითქმის ყოველ შეხვედრას ჩინებულად ატარებს, მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლები შევცვალოთ.

გამონაკლისს არც ესპანეთის ლიგა ენდესას 25-ე ტურის საშინაო მატჩი წარმოადგენდა, რომელიც „ტენერიფემ“ ევროლიგის მონაწილე „ვალენსიას“ 90:86 მოუგო და მასპინძელთა ქართველი ლიდერი 24 წუთში მოგროვებული 21 ქულით, 7 მოხსნით, 2 ჩაჭრითა და 1 ზუსტი პასით ბრძოლის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე გახდა (MVP) კოეფიციენტით 32.

აღნიშნული გამარჯვება კუნძულელთათვის მე-20 იყო 5 მარცხის წილ, რაც სატურნირო ცხრილში მესამე ადგილის ტოლფასია გრანდების – „რეალისა“ და „ბარსელონას“ შემდეგ, მათი მორიგი მეტოქე კი 3 აპრილს ანდალუზიური „ბეტისი“ იქნება.



ელიტაში

კელტური ოვალი

უკვდავება

„კლასიკოსი“ – ხალიჩაზუს, კასოპაზუს...




მორაბატი პრესტიჟული ექვსი ერის გამარჯვებული უელსი გახდა, რომელიც ტრიუმფს შოტლანდიას უნდა უმადლოდეს, რადგან ამ უკანასკნელზე, პირველად 1999 წლის შემდეგ, პარიზში ფრანგები 27:23 დასცეს.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს ტიტულის მოსაპოვებლად საპრემიო 4 ლელოს დადებდა და მინიმუმ 20-ქულიანი სხვაობით მეტოქის დაჩოქება მართებდათ, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და, მართალია, მანამდე, ასევე გასვლაზე ინგლისსაც სძლიეს, საბოლოოდ მე-4 ადგილი დაიკავეს, თუმცა, სა-

მაგიეროდ, კელტებს გაუხსნეს გზა ნოდებისკენ, რომლებიც „სამფეროვნებთან“ პირად შეხვედრაში დამარცხდნენ.

საბოლოო მდგომარეობა: უელსი, საფრანგეთი, ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია, იტალია.

საპარტიველო ფალავანთა ქვეყანააო – უცხოელებიც აღიარებენ და ისინი ყურადღებას ჩვენს სახელოვან მოჭიდა-



ვეთა ტიტულებზე ამხვილებენ, თუმცა, გივი კარტოზია სამშობლოში, უპირველესად, კაცობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

ხალიჩის დიდოსტატმა დიდების შარავანდედი მსოფლიოს სამეზობლო და ოლიმპიური ჩემპიონობით კი დაიდგა, მაგრამ, ვიმეორებთ – ეს ღირსეული პიროვნება უმთავრესთან – სამართლიანობასთან ასოცირდებოდა. გამოუთქმელი ტრაგედიით გულდათუთქული შეილმკვდარი მამა სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა და ასეთად დარჩება მარად, რასაც თბილისის სპორტის სასახლისთვის მისი სახელის მინიჭებაც ადასტურებს. დარწმუნებულნი ვართ, თვალსაზრისით „კლასიკოსი“ იმქვეყნადაც უკვდავების ბინადარ კოლეგათა ბერძნობის ჭაპანს ეზიდება. მართალია, ამ დღეებში 90 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ აღნიშნულ საპატიო მისიასთან პირნათლად გაძლავება, სიჭარბაგის მიუხედავად, არც იქ გაუჭირდება, სადაც მართლნი გაწისვენებენ...

„სრ“ სპორტის რედაქცია



პირველად ქვეყანაში - სუპერდარბაზი

თბილისის სამუშაო ვიზიტით ფიბა-ევროპის დელეგაცია ესტუმრა მისი აღმასრულებელი დირექტორის კამილ ნოვაკის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის წევრები 2022 წლის ევრობასკების მასშინძლობისთვის დედაქალაქში ახალი საკალათბურთო არენის სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ და შესაბამისი რეკომენდაციები გასცეს, რათა ახალმა დარბაზმა მომავალში ევრობასკებისა და მაღალი დონის საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილოს, რომლის ანალოგიც ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის მიუხედავად, ახალი დარბაზის მშენებლობის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა და მისი ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია. ფიბა-ევროპის წარმომადგენლები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს სოსო გიორგაძეს, მშენებლობის დამკვეთ „სპორტმშენსერვისისა“ და სამშენებლო კომპანია „საბა კონსტრაქშენის“ წარმომადგენლებს შეხვედნენ.

მედროვე სპორტის საერთაშორისო სტანდარტებით. ფიბა-ევროპის აღმასრულებელი დირექტორის კამილ ნოვაკის შეფასებით, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოში ევრობასკების ჩატარებას, ნამდვილად მოსალოცია ის ფაქტი, რომ დარბაზის მშენებლობის პროცესი ასეთი სისწრაფით და ინტენსივობით მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ევრობასკეტთან ერთად, ამ დარბაზში სამომავლოდ აგრეთვე უმაღლესი დონის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება განიხილება.

კამილ ნოვაკი (ფიბა-ევროპის აღმასრულებელი დირექტორი): შესანიშნავია აქ ყოფნა და იმის ხილვა, რომ პანდემიის მიუხედავად, ასეთი ტემპით მიმდინარეობს დარბაზის მშენებლობა, რასაც აუცილებლად აღვნიშნავთ ფიბა-ევროპის ბორდის სხდომაზე. ჩვენ დარბაზის მშენებლობის პროცესს ლაივ-რეჟიმში მუდმივად დადევნებთ თვალს, თუმცა ადგილზე შეფასება სრულიად განსხვავებულია. დღეს აქ ჩემს კოლეგებთან ერთად არამხოლოდ მონიტორინგის, არამედ მხარდაჭერის და შესაბამისი დახმარების განწვევის მიზნით ვიმყოფები. სხვადასხვა ქვეყნებში არაერთი საკალათბურთო დარბაზი გვინახავს და ვფიქრობ, ჩვენი რეკომენდაციები საჭირო და გამოსადეგი იქნება. სასიამოვნოა აქ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის მიხედვით, მოადგილის ხილვა, რაც კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს მომავალი ფორუმის ღირსეულად მისაღებად და ეს ნამდვილად დასაფასებელია. მნიშვნელოვანია, რომ ევრობასკეტის ჩატარების შემდეგ ქვეყანას მემკვიდრეობად ფანტასტიკური სპორტული არენა დარჩება.

პაატა გურასპაული (საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი): უპირველესად, დიდი მადლობა ბატონ კამილ ნოვაკს და მის თანხმებულ პირებს ვიზიტისთვის და დიდი მადლობა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ სოსო გიორგაძეს მობრძანებისთვის. ჩვენ დღეს ერთობლივად, ძალიან ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრა გვქონდა. სასიამოვნოა, რომ მუშაობის დასასრულს უახლოვდება. ახალი დარბაზი მთლიანად შეესაბამება არამხოლოდ კალათბურთის, არამედ ზოგადად მსოფლიო სპორტის სტანდარტებს. ასეთი ინფრასტრუქტურის არსებობა შესაძლებლობას მოგვცემს, ვუმასპინძლოთ პრესტიჟულ ღონისძიებებს და საერთაშორისო ტურნირებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სპორტის სხვადასხვა დარგის განვითარებას. მომავალი ევრობასკეტისთვის მშენებარე დარბაზი დაახლოებით 10 000 მაყურებელს დაიტევს და საქართველოში არსებული ინფრასტრუქტურის ფონზე გამორჩეული იქნება თანა-

ვიტალი ჯაფარიძე

მოერიდეთ ხალხმრავალ ქორწილებსა და ქელეხებს!

ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, საკოორდინაციო საბჭომ გუშინდელ სხდომაზე არსებული შემზღუდავი ღონისძიებების აღსრულების გამკაცრებაზე იმსჯელა. მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ აკრძალვის მიუხედავად, ქორწილები და ქელეხები მაინც იმართება.

მისი თქმით, სიტუაციის დასტაბილურება მოსახლეობამ არასწორად არ უნდა გაიგოს. „ჩვენ ყოველ დღე ვაანონსებთ, რომ შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ჩვენ დღეს საბჭოზე ვიმსჯელებთ ყველა იმ ღონისძიების აღსრულების გამკაცრებაზე, რომელიც ამჟამად მოქმედებს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა რეგიონში თანაბრად მკაცრად იყოს დარეგულირებული სიტუაცია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა ერთი წლის შემდეგ გაიგონ, რომ ქორწილები და ქელეხები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეპიდემიის გაზრდაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დღესასწაულები გადავდოთ იმ პერიოდისთვის, როცა არ იქნება ეპიდემიის კრიტიკული. ვხედავთ, რომ წარმატებით მოვახერხეთ სიტუაციის დასტაბილურება, თუმცა მოქალაქეებისთვის რატომღაც ეს დადებითი მესიჯი გახდა და ისევ დავუბრუნდით ცხოვრების ჩვეულ რიტმს, რის უფლებასაც პანდემია არ გვაძლევს. საქართველოს მთავრობას ნამდვილად არ უნდა, მიმართოს ისეთ მკაცრ შემზღუდავებს, როგორც გვქონდა შარშან გაზაფხულსა და ზამთარში. აქ მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების აქტიური ჩართულობა: პირბადის გამოყენება, სოციალური დისტანცია, პირადი ჰიგიენა“, - განაცხადა ტიკარაძემ.



ეპიდემიის რისკის კონტროლი აკრილში თუ ხელიდან გაგვექცა!

ეპიდემიის რისკის კონტროლი, მაგრამ თუ აპრილიდან ხელიდან „გაგვექცა“, გამეორდება სამხუარო ნოემბერი და დეკემბერი იმდენი მსხვერპლით, რაც ჩვენ იმ ორ თვეში გვქონდა - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



„დღეს ამ საკითხზე ვისაუბრე და დავაყენე საკითხი, უფრო მკაცრი საკომუნიკაციო კამპანიის, რომ ყველა ტელევიზია, ყველა მასობრივი საშუალება, ყველა ბილბორდი დაკავებული უნდა იყოს იმით, რომ ადამიანებს მოუწოდებთ, რას ნიშნავს პანდემია და როგორ უნდა ვებრძოლოთ. პირბადე უნდა ვატაროთ ყველამ, დავიცვათ დისტანცია და დიდ თავშეყრებს თავი ავარიდოთ. ყველა უნდა ავიცრაოთ, ვისაც ეს ეტაპობრივად ეკუთვნის“, - განაცხადა გამყრელიძემ.

გარტის თვის 200-ლარიანი კომპენსაცია 130645 პირს ჩაერიხება

დასამშვების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, გრძელდება მოქალაქეებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაცემა, მათ შორის მოქალაქეებისთვის, რომლებმაც პანდემიის მე-2 ტალღის შედეგად დაკარგეს სამსახური.

მათივე ინფორმაციით, დღეისათვის, 200-ლარიანი დახმარების მართის თვის ჩარიცხვა უკვე დაწყებულია, კომპენსაცია ჩაერიცხება 130 645 პირს, 26 129 000 ლარის ოდენობით.

დღეის მდგომარეობით, თებერვლის თვის 200-ლარიანი დახმარება ჩაერიცხა 139 618 პირს, 27 923 600 ლარის ოდენობით. რაც შეეხება იანვრის თვეს, საკომპენსაციო თანხა ჩაერიცხა 106 362 პირს, 21 272 400 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ფარგლებში, 2021 წლის იანვრიდან, დაქირავებით დასაქმებული უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეები ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ.

რუსუდან კერვალიშვილი საპატიმრო დატოვა

4-წლიანი პატიმრობის შემდეგ რუსუდან კერვალიშვილი საპატიმრო დატოვა. მას ოჯახის წევრები და ახლობლები დახვდნენ.

„ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ის“ ეპიზოდზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა 2017 წელს მიესაჯა. რაც შეეხება მის დას, მაია რჩეულიშვილს, შეფარდებული 7-წლიანი სასჯელიდან მას უკვე 4 წელზე მეტი მოხდელი აქვს. კომპანია „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს ამნისტიის აქტი შეეხო, მაგრამ საპატიმროს დატოვებაზე მას დაზარალებულთა თანხმობა სჭირდება.


მაია რჩეულიშვილს თანხების მითვისებასა და გაფლანგვაში ედება ბრალი. საქმე რამდენიმე ეპიზოდს მოიცავს.

* * *
რუსუდან კერვალიშვილის თქმით, მისი და მაია რჩეულიშვილის მთავარი ამოცანა ყველა ადამიანი დაკმაყოფილდეს ბინით და იყოს ბედნიერი.

„სინანული მაქვს ძალიან დიდი, ის ადამიანები, ვინც ძალიან გვენდნენ, წლების განმავლობაში დაზარალებდნენ. სამხუაროდ, ჯერ კიდევ არ მოხერხდა პრობლემის დასრულება, მაგრამ ახლა იმედი მოგვეცა, რომ იწყება მშენებლობა, იწყება ერთ თვეში. ჩვენი ამოცანა ყველა ადამიანი შევიდეს თავის ბინაში და იყოს ბედნიერი“, - აღნიშნა რუსუდან კერვალიშვილმა.



ფოთელის პრეზიდენტის ლაგაზი იუბილა



თბილისში მცხოვრები ფოთელის საზოგადოების გამგეობა გულითადად მიესალმება საზოგადოების დამფუძნებელსა და უცვლელ პრეზიდენტს, რომლის პირადი თაოსნობით მოეწყო მრავალი სასიკეთო საქმე, ცნობილი ბიზნესმენს, სპეციალისტს, ქველმოქმედსა და ერთგულ მეგობარს

სპარტაკ გოგინავას

და დიდი პატივისცემით ულოცავს საიუბილეო 80 წლის თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, პირად სიხარულსა და ბედნიერებას შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

გამგეობის სახელით: ჯიმი ძვარცხავა, ჯემალ კახიანი, მირაზ ხაბაზანიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, ვატრა ბარაია, ჯემალ კვიციანი, გიგა სვანიძე, თინათინ უჩაიანი, ვასო ძორაძე, ლიანა წურწუშია, ვახტანგ ჩიქოვანი

სტივ ჯობსის ანკეტა აუქციონზე გაიყიდა

კომპანია „Apple“ დამფუძნებლის სტივ ჯობსის 1973 წელს შეესრულებული ანკეტა „Chartfields“ – აუქციონზე 221 841 დოლარად გაიყიდა.

ერთფურცლიან რეზიუმეში სტივ ჯობს უწერია, რომ აქვს გამოცდები კომპიუტერთან და კალკულატორთან მუშაობისა, ამასთანავე ფლობს ნოვატორულ, ტექნოლოგიურ უნარებს.

ეს სწორედ ის პერიოდი, როცა მან კოლეჯი მიატოვა და კომპანია „Atari“-ში დაიწყო მუშაობა, სადაც აგრეთვე მუშაობდა სტივ ვოზნიაკი, რომელთან ერთადაც 1976 წელს კომპანია „Apple“ დააარსა.

ეს ანკეტა უკვე მეორედ შეიძინეს, პირველად ის 2018 წელს 175 ათს დოლარად იქნა გაყიდული.

თანამედროვეობის ერთ-ერთი გენიოსი ჯობსი 2011 წელს სიმსივნით გარდაიცვალა.

სტოუნის მოქალაქე გახდა

შირონ სტოუნი ბავშვობაში სწორედ იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამის შესახებ მსახიობი ავტობიოგრაფიულ წიგნში The Beauty of Living Twice წერს, რომელიც გაყიდვაში დღეს გამოვა.



წიგნში სტოუნი პენსილვანიაში გატარებულ ბავშვობის წლებს იხსენებს და დეტალურად აღწერს, როგორ ძალადობდა მას სა და მის დაზე დედის მამა. მსახიობის თქმით, ბავშვა მას გამოუდგებოდა მოკვლით ემუქრებოდა.

ანიმაციური ფილმები ქართული გახმობისთვის


სამტკებრიდან პირველი არხის ეთერში ქართულად გახმობისთვის „დისნეის“ ცნობილი ანიმაციური ფილმებს ნახავთ.



ანიმაციური ფილმის „მულანის“ ერთ-ერთი კომპოზიციის ქართულ შესრულებას ინტერნეტ სივრცეში დადებითი გამოხმაურება უკვე მოჰყვა. საქართველოს პირველი არხი გამარჯვებულ სტუდიებთან ერთად 22 ანიმაციური ფილმის პროფესიონალურ დუბლირებას გეგმავს.

პროფესიონალი „ჩამსუტებელი“

THE SUN უჩვეულო პრეცედენტის შესახებ წერს. გამოცემის ცნობით, ამერიკელმა ქალმა, სახელად სასკიამ, რომელსაც სამსახიობო კარიერის გამო დროებით ქმართან განშორება მოუხდა, პროფესიონალი „ჩამსუტებელი“ დაექირავა.



ჩამსუტებისთვის ის კაცს საათში 80 დოლარს უხდის. „ქმართან განშორების შემდეგ სხვა ადამიანთან შეხების დეფიციტი შემეჭმნა და სპეციალურ სამსახურს მივმართე იმის გასაგებად, შემქლო თუ არა კაცის დაქირავება ჩამსუტებისთვის. ვიცი, რომ ბევრისთვის ეს უცნაური საქციელია, რადგანაც ქორწინებაში ვიმყოფები, მაგრამ მათი აზრი ნაკლებად მაინტერესებს, მით უმეტეს, რომ ჩემი ქმარი ამის წინააღმდეგი არ არის“, – ამბობს სასკია.

სანაღალს მიადნია

აშშ-ში მიუსაფარმა ძაღლმა მალაზიიდან ერთი და იგივე სათამაშოს მოპარვა რამდენჯერმე სცადა.

შემთხვევა ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ კენანსვილში მოხდა. 1 წლის ხეაღმა, სახელად სისუ, ადგილობრივი მალაზიიდან იასამნისფერი მარტორქის გატაცება ხუთჯერ სცადა, რის გამოც სუპერმარკეტის მფლობელმა ცხოველთა მონიტორინგის სამსახური გამოიძახა.

თუმცა გამოძახებაზე მისულმა ოფიცერმა სისუს სანატრელი სათამაშო უყიდა და თავშესაფარში მარტორქასთან ერთად გადაიყვანა. სისუს და მისი რბილი მეგობრის ფოტოები თავშესაფრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა და ძაღლმა ახალი სახლი მეორედ დღესვე იპოვა. ის ახალ სახლში საყვარელ სათამაშოსთან ერთად ცხოვრობს.

მოამზადეს რუსუდან ქოშულიამ და კახა ძორიძემ

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48 ტელ: 239-03-43
მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემელი: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3

კოდონ ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
2 009882 616932

ავტორთა სახურადლეოლ! რედაქციის მიერ შუამავთავი მასალაში დანიჭებული ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქალაქ, მუდამ არ ემთხვეოდნენ რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუტეზე პასუხს ავებან ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა პარასკევს, 2 აპრილს



უსტოური ვალუტის ქარსი: აუუ დოლარი - 3.3846; ეპრო - 3.9840; ბრიტანული პირაპნა სტერლინგი - 4.6806; 100 რუბლი - 4.4519; თურქული ლირა - 0.4144; აპარაპიჯანული მანათი - 1.9890; 1000 სომხური დრამი - 6.3837.

აპრილი 31 მარტისთვის			
აღმოსავალი სამარტოვლო:			
ბარი -	ლაპი	+1,	ფლე +14
მთიანი რაპონა -	ლაპი	-2,	ფლე +12
დასავალი სამარტოვლო:			
ბარი -	ლაპი	+3	ფლე +20
მთიანი რაპონა -	ლაპი	-1	ფლე +17
თაილინი:	ლაპი	+6,	ფლე +12

დაგპირაპათ, მოგპნაპათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge